

თავი XLV

საგნობრივი პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ზოგადი ნაწილი

ა) შესავალი

პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება, რაც სასკოლო განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა აღქმასა და გრძნობას აფაქიზებს, წარმოსახვის უნარს, შემოქმედებით მიდგომას და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს, რის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა.

პიროვნების აღზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი შრომითი საქმიანობა ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით ხელოვნების სწავლებასთან არის ინტეგრირებული. ამ ინტეგრირების საფუძველს სახვითი ხელოვნების სწავლებაში გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ელემენტების ჩართვა წარმოადგენს.

საგნის სწავლებისას ყურადღება მახვილდება განწყობა-დამოკიდებულებების, პრაქტიკული, შემოქმედებითი და კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ცოდნის გამოყენებაზე.

ბ) სახვითი და გამოყენებითი სწავლების მიზნები და ამოცანები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიზანია:

- მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში და ამ გზით მისთვის მშვენიერების განცდის და წარმოსახვის უნარის განვითარება
- ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბება და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი
- ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება
- გარემოს ესთეტიკური აღქმისა და მოწესრიგების უნარ-ჩვევების გამომუშავება
- შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება და შრომის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების ამოცანებია:

შესაბამისი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, ხელოვნებასთან და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარება და აუცილებელი ცოდნის მიცემა მოსწავლეებისათვის; კერძოდ:

ფასეულობები და დამოკიდებულებები	უნარ-ჩვევები	ცოდნა
პატივისცემის გრძნობის განვითარება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო	შემოქმედებითი აზროვნებისა და გაგების უნარის განვითარება;	სამყაროს შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება; საკუთარი

<p>კულტურის, ადამიანის შრომის მიმართ; თანაგანცდისა და თანაგრძნობის უნარის განვითარება; შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება სხვა ადამიანების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობისადმი.</p>	<p>ემოციური სფეროს განვითარება; წარმოსახვის, გემოვნებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება; ხედვის, სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერების და ხელის მოტორიკის განვითარება; შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; საკომუნიკაციო უნარების განვითარება; სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა.</p>	<p>და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ენის შესწავლა.</p>
--	---	---

საგნის როლი სასკოლო განათლების ეროვნული მიზნის განხორციელებაში

თანამედროვე სკოლა მიზნად ისახავს ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელიც მზად იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრუნოს საკუთარი განვითარებისათვის. ამგვარ ადამიანს უნდა ახასიათებდეს:

1. კრიტიკული აზროვნება;
2. პრობლემათა გადაჭრის უნარი;
3. თვითგამოხატვის უნარი;
4. შემოქმედებითი აზროვნება;
5. სამოქალაქო ცნობიერება;
6. კომუნიკაციის უნარი;
7. კვლევა-ძიების უნარი;
8. თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარი.

სახვით და გამოყენებით ხელოვნებას თავისი წვლილი შეაქვს ამგვარი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

1. კრიტიკული აზროვნება

ხელოვნების შესწავლის პროცესში მოვლენათა გააზრებისა და პრობლემათა წვდომის უნარის ჩამოყალიბებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს: ა) მოსწავლეთა მიერ მხატვრული იდეების პროდუცირება, ბ) საკუთარი და სხვების შემოქმედების დახასიათება, შეფასება და ანალიზი; გ) იმ როლის გააზრება, რომელსაც ასრულებს ეროვნული და მსოფლიო კულტურების მემკვიდრეობა სხვადასხვა კონტექსტში.

2. პრობლემათა გადაჭრის უნარი

ხელოვნების სწავლებისას პრობლემათა გადაჭრის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) სწავლის პროცესში წარმოშობილი იდეების რეალიზაციის პრაქტიკა, ბ) საუკეთესო შედეგის მისაღწევად საჭირო მასალის, იარაღის, გამომსახველობითი ხერხების თუ ტექნიკის შერჩევა და ეფექტური გამოყენება, გ) დასახული ამოცანის გადაჭრისათვის

აუცილებელი ინიციატივის და პასუხისმგებლობის გამოვლენა; გ) სტრესის, იმედგაცრუებისა და მარცხის დაძლევა და დასახული მიზნისაკენ მტკიცედ სწრაფვა.

3. თვითგამოხატვის უნარი

ხელოვნების შესწავლის პროცესში მოსწავლის თვითგამოხატვას (შეხედულებები, იდეები, განწყობები, გრძნობები) ხელს უწყობს:

- ა) განსხვავებული მხატვრული მასალისა და ხერხების ათვისება-დაუფლება;
- ბ) მხატვრული რესურსების (მასალისა და მეთოდების) თვითგამოხატვის პროცესთან დაკავშირება;
- გ) თანაკლასელთა მხატვრულ შემოქმედებაში გარკვეული შეხედულებების, იდეების, განწყობებისა და გრძნობების ამოცნობა და მათზე მსჯელობა;
- დ) საკუთარ მხატვრულ ნამუშევარში გამოსახულ შეხედულებებზე, იდეებზე, განწყობებსა და გრძნობებზე მსჯელობა.

4. შემოქმედებითი აზროვნება

ხელოვნების სწავლებისას მოვლენების მიმართ შემოქმედებითი მიდგომის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ორიგინალური მხატვრული იდეების გენერირება და მათი განხორციელებისათვის არასტანდარტული გზების ძიება.

5. სამოქალაქო ცნობიერება

ხელოვნების სწავლებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილისა და უნარის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს: კლასის, სკოლის და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებასა და კეთილდღეობაში საკუთარი წვლილის შეტანა; კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

6. კომუნიკაციის უნარი

ხელოვნების სწავლებისას კომუნიკაციის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) საკუთარი და სხვისი ნაწარმოებების შესახებ მსჯელობა, კამათი და პოზიციის დასაბუთება; ბ) სხვადასხვა საშუალებებით (ხატვა, წერა, მსჯელობა) საკუთარი აზრისა და გრძნობების გამოხატვა; გ) ჯგუფური მუშაობისას სხვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა და პრობლემურ საკითხებზე შეთანხმება; დ) კრიტიკული თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება.

7. კვლევა-ძიების უნარი

ხელოვნების სწავლებისას ინფორმაციის მოპოვებისა და განალიზების უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება, ბ) ინფორმაციის შეჯერება, კრიტიკული შეფასება და ეფექტური ორგანიზაცია; გ) ინფორმაციის გამოყენება საკუთარი შემოქმედებისათვის, კვლევისათვის, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბებისათვის და სამოქმედო გეგმის განსაზღვრისთვის.

8. თვითშეფასებისა და და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარი

ხელოვნების სწავლებისას თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღწევების სწორი შეფასება; ბ) საკუთარი ემოციების გაცნობიერება და მათი მართვა; გ) უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის ჩვევის გამომუშავება; დ) საქმიანობის სწორად და ეფექტურად დაგეგმვის უნარი; ე) განათლებისა და პროფესიული ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების გამოყენება.

გ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების საფეხურების დახასიათება

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის, პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. უმცროსკლასელებში, მათი ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია თამაშზე დაფუძნებული აქტივობა, რასაც შესანიშნავად მიესადაგება ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ხატვა, მუსიკა) შესწავლის სპეციფიკა.

დაწყებით სკოლაში ხელოვნების სწავლება ძირითადად ბავშვის ემოციური და გონებრივი სფეროს, შრომითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ემსახურება.

საბაზო საფეხურზე ხელოვნების დარგებში შექმნილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოზარდს საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების პროცესს უადვილებს. ამავე დროს, მნიშვნელოვნად არბილებს იმ გამძაფრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ, რომელიც ნიშანდობლივია ამ ასაკისათვის, ვინაიდან ხელოვნების ნაწარმოების გაგების უნარი განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმართ შემწყნარებლობასაც გულისხმობს. პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარება ხელოვნების ნიმუშის ანალიზისას მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების, ავტორის ჩანაფიქრის უკეთ გაგებას ემსახურება. მოსწავლეები ახორციელებენ აგრეთვე სხვადასხვა სახის პროექტს. ყოველივე ეს ეხმარება მას არჩევანის გაკეთებაში ესთეტიკური საგნების ჯგუფიდან (იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც სკოლა შესთავაზებს.), რათა X, XI ან XII კლასებში მოხდეს შექმნილი უნარ-ჩვევების და ცოდნის შემდგომი გაღრმავება და პროფესიული საფუძვლების ჩაყრა.

საშუალო საფეხურზე მოსწავლე მზად არის გაცნობიერებული არჩევანისათვის. ამ დროს მას საშუალება ეძლევა, საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს და შეისწავლოს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული ერთ-ერთი საგანი.

დ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების ორგანიზება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზეა გათვალისწინებული: დაწყებით და საბაზოზე - სავალდებულო (I-IX კლასები), ხოლო საშუალოზე - (X-XII კლასები) არჩევითი საგნების სახით.

სახვით და გამოყენებით ხელოვნების სწავლებას I-VII კლასებში კვირაში 2 აკადემიური საათი ეთმობა. VIII-IX კლასებში საგანი თითო სემესტრის მანძილზე ისწავლება და მისთვის კვირაში 3 აკადემიური საათია განკუთვნილი: VIII კლასში - I, ხოლო IX კლასში - II სემესტრში.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მიმართულებების აღწერა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით სამი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;
2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია;
3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში.

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

1. შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ეცნობიან და ეუფლებიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, სხვადასხვა ტექნიკას, მასალას, იარაღსა და პროცედურებს.

მოსწავლეები ავითარებენ სხვადასხვა მოტივის ზეგავლენით წარმოშობილი იდეებისა და ჩანაფიქრების ხორცმესხმის უნარს, რისთვისაც იყენებენ წარმოსახვას, ემოციებს, დაკვირვების უნარს, მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას და სწავლის პროცესში მიღებულ ცოდნას.

2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ხელოვნების ნაწარმოების გაგებას და შეფასებას, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებას, ეჩვევიან საკუთარი ჩანაფიქრის ნათელ და მკაფიო განმარტებას და სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, ეუფლებიან კოლექტიური მუშაობის და მსჯელობის მეთოდებს.

3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხური შემოქმედების ზოგიერთ დარგებს, არკვევენ მათ შინაარსსა და დანიშნულებას, აკავშირებენ მათ ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან; ეცნობიან მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს.

ე) შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

შეფასების კომპონენტები

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალებები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი დავალებების მიხედვით:
მასალის მოძიება, რეფერატი, პრაქტიკული სამუშაო.

მიმდინარე საკლასო დავალებები

მოიცავს შემდეგი ტიპის აქტივობებს:

1. კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა);
- ტექნიკის, მასალის ფლობა;
- შემოქმედებითობა (გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი ხელწერის, ხედვის, დემონსტრირება);
- თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს.

2. საკუთარი და სხვისი ნამუშევრების განხილვაში მონაწილეობა;

3. გარკვეული ეპოქის, შემოქმედის ან ხელოვნების ნიმუშის ანალიზში ან მის ირგვლივ მსჯელობაში მონაწილეობა, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აქტიური მონაწილეობა;
- საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

4. საკუთარი და სხვების ნამუშევრების პრეზენტაცია (აუდიტორიისთვის წარდგენა), რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი;
- თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
- კითხვებზე ადექვატური პასუხის გაცემა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

საკონტროლო/გამოცდა/ტესტირება/მაშტაბური ნამუშევარი/ გამოფენა/მოხსენება-რეფერატი (გარკვეული ეპოქის, შემოქმედის შესახებ).

პროექტები

პროექტის სავარაუდო თემები:

ექსპოზიციის, ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, ჟურნალის, წიგნის მაკეტის დამზადება; სკვერის კეთილმოწყობა, სკოლის, საკლასო ოთახის, ინტერიერის დიზაინის შექმნა და სხვა.

პროექტის შესრულების დროს ფასდება შემდეგი აქტივობები:

პროექტის იდეის განსაზღვრა, პროექტის დაგეგმვა, ფუნქციების განაწილება; ორგანიზება, ფინანსური გათვლა, სპონსორის მოძიება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მასალით მომარაგება, მუსიკალური გაფორმება, რეჟისურა, სცენოგრაფია, მხატვრობა, დიზაინი: კოსტიუმი, დეკორაცია, გრიმი; რესურსის შექმნა, წარმოდგენაში მონაწილეობა (მსახიობი, წამყვანი, გამნათებელი და ა.შ.), წარდგენა და სხვა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;

- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

რუბრიკების ნიმუშები:

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება					
თარიღი:		სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა:			
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				შემაჯამებელი ქულა
	ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)	მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა	შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად	თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
	0-1	0- 3	0- 4	0-2	
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება

თარიღი: სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა: ნატურმორტი

მასალა: აკვარელი, გუაში

მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები					შემაჯამებელი ქულა
	კომპოზიცია	ფორმა/ მოცულობა	ფერი	ფაქტურა	სივრცე	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
	რამდენად ახერხებს დასახატი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (კომპოზიციური ბალანსის დაცვას და ა.შ.) და ურთიერთ თანაფარდობის გადმოცემას	რამდენად იცავს საგნის პროპორციებს და რამდენად ახერხებს მათი მოცულობის გადმოცემას შუქ-ჩრდილის საშუალებით	რამდენად შეესატყვისება ფერთა გამა დასახატი ობიექტებს, ან რამდენად შემოქმედებითად არის გადაწყვეტილი ფერის ამოცანა ნამუშევარში	რამდენად ახერხებს დასახატი ობიექტების (საგნების, დრაპირების (ქსოვილის)) ფაქტურის გადმოცემას	რამდენად ახერხებს სივრცის ეფექტის შექმნას (წინა პლანი, შუა პლანი, უკანა პლანი (ფონი))	
	0-2	0-2	0-2	0-2	0-2	
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება

თარიღი: სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა:

მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				შემაჯამებელი ქულა
	ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)	მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა	შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად	თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
	0-1	0- 3	0- 4	0-2	
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					

ხელოვნების ნიმუშის ანალიზის შეფასება

თარიღი: ხელოვნების ნიმუში: ავტორი:

მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები			შემაჯამებელი ქულა
	აღწერს ნამუშევარს	აანალიზებს კომპოზიციას და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს	ასაბუთებს საკუთარ ინტერპრეტაციას	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
	0- 3	0- 3	0- 4	
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

6.				
7.				
8.				
9.				
10.				

საპრეზენტაციო უნარების შეფასება				
თარიღი: პრეზენტაციის სახეობა: მოხსენება-რეფერატი				
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები			შემაჯამებელი ქულა
	სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კონტაქტი აუდიტორიასთან 0- 3	თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება 0- 4	კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა 0- 3	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				

თავი XLVI

საგნობრივი კომპეტენციები დაწყებით საფეხურზე

I კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>გ.ი.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ერთი ან რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.ი.2. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.ი.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფერს და ფორმას და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.ი.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.</p> <p>ს.გ.ი.5. მოსწავლეს შეუძლია მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება.</p> <p>ს.გ.ი.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.</p>	<p>ს.გ.ი.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები, გამოთქვას აზრი საკუთარ და თანაკლასელთა ნაშრომებზე.</p> <p>ს.გ.ი.8. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს.</p> <p>ს.გ.ი.9. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p> <p>ს.გ.ი.10. მოსწავლე იცნობს ელემენტარულ ტერმინებს და შეუძლია მათი გამოყენება.</p>	<p>ს.გ.ი.11. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან ხელოვნების ზოგიერთი დარგი და ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.</p> <p>ს.გ.ი.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი საკუთარ გამოცდილებასთან.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.1.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ერთი ან რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნამუშევარში იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს (სქელს და წვრილს, სწორს, ტალღოვანს, ტეხილს, წყვეტილს, კონტურს);
- ფერების შეზავებით იღებს ახალ ფერებს;
- ქმნის მარტივ ორნამენტებს განმეორებადი ხაზების, ფერებისა და გეომეტრიული ფიგურებისაგან;
- ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას მოცემულობის შესაბამისად.

ს.გ.1.2. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ფანქრებს, პასტელს, ფლომასტერებს, გუაშის საღებავებს ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრის შესაქმნელად;
- ფერადი ქაღალდებით, მუყაოთი, ბუნებრივი მასალით ქმნის აპლიკაციას, კოლაჟს;
- აწყობს მოზაიკას სხვადასხვა მასალით (ჭრის, ხევს, აწებებს ქაღალდებს, ფოთლებს და ა.შ.);
- ქმნის პლასტილინისგან მარტივ ფორმებს.

ს.გ.1.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფერს და ფორმას და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გარემოში ამოიცნობს და ასახელებს მარტივ გეომეტრიულ ფორმებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე) და გამოსახავს ნამუშევარში;
- ამოიცნობს, ასახელებს და გამოსახავს ნამუშევარში ბუნებაში არსებულ ფერებს და ფორმებს.

ს.გ.1.4 . მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნამუშევარში ასახავს მიღებულ შთაბეჭდილებებს;
- გამოსახავს წარმოსახვით შექმნილ პერსონაჟებს;
- გამოსახავს წარმოსახვით გარემოს;
- ხატავს ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟებს და ეპიზოდებს.

ს.გ.1.5. მოსწავლეს შეუძლია მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გაკვეთილზე მოდის საჭირო აღჭურვილობით;
- ალაგებს სამუშაო ადგილს, რეცხავს და ინახავს სამუშაო იარაღებსა და მასალას;
- იცავს უსაფრთხოების წესებს;

- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

ს.გ.1.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში;
- ცდილობს დასმული ამოცანის გადაჭრას დამოუკიდებლად და მეწყვილესთან ერთად.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.1.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები, გამოთქვას აზრი საკუთარ და თანაკლასელთა ნაშრომებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკუთარი და/ან ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას განმარტავს, რას ასახავს ნამუშევარში;
- უსვამს თანაკლასელს კითხვებს მისი ნამუშევრის შესახებ;
- უზიარებს თანაკლასელებს შთაბეჭდილებებს წარმოდგენილი ნამუშევრის შესახებ (მომწონს, არ მომწონს);
- უსმენს თანაკლასელებს, მასწავლებელს;
- აცდის სხვებს აზრის გამოთქმას.

ს.გ.1.8. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს მუშაობის დროს;
- უფრო ხილდება (არ აზიანებს) სხვის და საკუთარ ნამუშევრებს.

ს.გ.1.9. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს საკლასო ზეიმში;
- მონაწილეობს საკლასო გამოფენაში;
- დადის მუზეუმებში და გამოფენებზე;
- დადის ექსკურსიებზე და ეცნობა კულტურულ მემკვიდრეობას.

ს.გ.1.10. მოსწავლე იცნობს ელემენტარულ ტერმინებს და შეუძლია მათი გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნამუშევარში და ასახელებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მისთვის ნაცნობ ელემენტებს;
- ჩამოთვლის მასალას და იარაღებს, რომლებიც გამოიყენა ნამუშევარში;
- საუბრისას სწორად იყენებს ელემენტარულ ტერმინებს, რეაგირებს მასწავლებლის კომენტარზე (ესმის და ასრულებს მითითებას, მაგ., დახატოს პეიზაჟი ან პორტრეტი).

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.1.11. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან ხელოვნების ზოგიერთი დარგი და ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის ხელოვნების დარგებს (მხატვრობა, მუსიკა, კინო, თეატრი და სხვ.) და გამოყოფს თითოეული დარგისთვის დამახასიათებელ მთავარ ნიშანს (ფერი, ზგერა, მოძრაობა);
- ასახელებს ხელოვნების ცალკეულ დარგთან დაკავშირებულ პროფესიებს;
- ჩამოთვლის საოპერო, საბალეტო, თეატრალურ წარმოდგენებს, რომლებსაც დასწრებია და საუბრობს მიღებულ შთაბეჭდილებაზე;
- ჩამოთვლის სახვითი ხელოვნების ძირითად ჟანრებს (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი);
- საუბრობს საყვარელ ილუსტრირებულ წიგნებზე;
- ასახელებს არქიტექტურულ ძეგლებსა და ქანდაკებებს, რომლებიც უნახავს.

ს.გ.1.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი საკუთარ გამოცდილებასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ათვალთვლებს ნაწარმოებებს, საუბრობს მათ შინაარსზე (სიუჟეტები, სცენები, მოვლენები და სხვ.) და მათგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე;
- ასახელებს ცხოველებს, მცენარეებს, საგნებს, რომლებიც ასახულია ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებში;
- ამოიცნობს ხელოვნების ნაწარმოებში ასახულ წელიწადის დროებს.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი (წვრილი, სქელი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი; კონტური), ფერი (ძირითადი, შედგენილი). კომპოზიციური განაწილების საფუძველი - ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

სხვადასხვა ტიპის ხაზი და ფერი – მაგალითად, პირველყოფილი ადამიანის მხატვრობა (ლასკოს გამოქვაბული), ვინსენტ ვან გოგის, ვასილი კანდინსკის, ხუან მიროს და სხვათა ნაწარმოებები.

მარტივი ორნამენტი (განმეორებადი ხაზების, ფერებისა და გეომეტრიული ფიგურებისგან შემდგარი) - მაგალითად, ხევსურული ხალიჩისა და სამოსის ორნამენტი, ბერძნული მეანდრის მარტივი ვარიანტი და სხვა.

მასალა და იარაღი:

ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, ფერადი ქაღალდი, მუყაო, პლასტილინი, ბუნებრივი მასალა (ფოთოლი, გირჩა, მარცვლეული და სხვ.); ფუნჯი, მაკრატელი, წებო.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერა, გრაფიკა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა; ძერწვა, დახევა, დაჭრა, დაწებება.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

აპლიკაცია და კოლაჟი - მაგალითად, ანრი მატისის, პაბლო პიკასოს და სხვათა ნაწარმოებები; მოზაიკა - პომპეის მოზაიკის ორნამენტული ფრაგმენტები და სხვა.

დაკვირვება გარემოზე:

ფორმის, ფერის, ხაზების ამოცნობა.

მხატვრული იდეების წყაროები

წარმოსახვა, საკუთარი ფანტაზიის მიხედვით შექმნილი სურათები; გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები, ზღაპრები, მხატვრული ლიტერატურა;

მხატვრული და ანიმაციური ფილმები; საკონცერტო, თეატრალური, საცირკო წარმოდგენა.

სავარაუდო თემები და აქტივობები:

“ფერთა სამეფო”, “შემოდგომა”, „სკოლა“, “მხიარული მატარებელი”, “ახალი წელი”, “წყალქვეშა სამყარო”, “ჩემი ქალაქი/სოფელი” და სხვ.;

სავარჯიშოები ფერების შეზავებაზე ახალი ფერის მისაღებად; სავარჯიშოები პარალელური, ვერტიკალური, ჰორიზონტალური, დახრილი ხაზებით; წერტილების შეერთებით გამოსახულების მიღება; ჭიქის ძირის, ხელის მტევნის შემოხაზვა, გაფერადება; ნამუშევარში გეომეტრიული ფორმების გამოყენება.

შრომითი საქმიანობა:

აღჭურვილობის მოტანა-მოწესრიგება, სამუშაო ადგილის დალაგება, დროის ლიმიტისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

მუშაობის სტრატეგია:

მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

ღონისძიებები:

საკლასო გამოფენა, ზეიმი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში და ქალაქგარეთ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით.

წარდგინება:

ნაცნობი აუდიტორიის წინაშე ნამუშევრის წარდგენა (საუბარი ნამუშევარზე), კითხვების დასმა, პასუხის გაცემა, შთაბეჭდილებების გაზიარება, სხვისი აზრის ყურადღებით მოსმენა, პატივისცემის გამჟღავნება სხვისი ნამუშევრის და აზრის მიმართ, ელემენტარული ტერმინების გამოყენება.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

ხელოვნების დარგების გაცნობა (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, კინო, თეატრი და სხვ.); ხელოვნების დარგებზე და ნაცნობ ნიმუშებზე საუბარი; სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ჟანრის გაცნობა (*პორტრეტი - ნიკო ფიროსმანი და სხვ. ნატურმორტი - ვინსენტ ვან გოგი და სხვ. პეიზაჟი - ელენე ახვლედიანი და სხვ.*); ვიზუალური მასალის დათვალიერება, საუბარი შთაბეჭდილებებზე, ნაწარმოების შინაარსზე, მისი დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; *გამოყენებითი ხელოვნება - არქაული ხანის ბერძნული კერამიკა.*

II კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ. II.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ. II.2. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ. II.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფერს და ფორმას და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ. II.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.</p> <p>ს.გ. II.5. მოსწავლეს შეუძლია მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამოქვანება.</p> <p>ს.გ. II.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.</p>	<p>ს.გ. II.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები, გამოთქვას აზრი და შთაბეჭდილებები საკუთარ და თანაკლასელთა ნაშრომებზე.</p> <p>ს.გ. II.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის იდეათა გამოხატვის საშუალება.</p> <p>ს.გ. II.9. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს.</p> <p>ს.გ. II.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p> <p>ს.გ. II.11. მოსწავლე იცნობს ელემენტარულ ტერმინებს და შეუძლია მათი გამოყენება.</p>	<p>ს.გ. II.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან ხელოვნების ზოგიერთი დარგი და ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.</p> <p>ს.გ. II.13. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ყოველდღიურ ცხოვრებასა და საკუთარ გამოცდილებასთან.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.II.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს (ტეხილი, წყვეტილი, ტალღოვანი, სწორი და ა.შ.) და ფერს ნამუშევარში განწყობილების (სიხარული, მოწყენილობა, შიში) გადმოსაცემად;
- ნამუშევარში იყენებს განსხვავებული სისქის კონტურს;
- ქმნის მარტივ ორნამენტებს - ხაზების, ლაქების, ფორმების და ფიგურების საშუალებით;
- სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
- ჩამოთვლის ცისარტყელას ფერებს, განარჩევს ცივ და თბილ ფერებს და იყენებს მათ ნამუშევარში;
- გამოსახულებას ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე;
- გამოსახავს სიმეტრიულ და/ან ასიმეტრიულ ფორმებს.

ს.გ.II.2. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შერეული მასალითა და სხვადასხვა ტექნიკით ქმნის წიგნის სანიშნებს, ღია ბარათებს, ნაძვისხის სათამაშოებს და სხვ.;
- ქმნის მარტივ კონსტრუქციებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მაგალითად: მუყაო, დაჭმუჭნული ქაღალდი, ლითონის ან პლასტმასის კოლოფები და სხვ.;
- ძერწავს გეომეტრიულ ფორმებს და ქმნის მათგან მარტივ კომპოზიციებს (სახლი, თოვლის ბაბუა და სხვ.);
- ბუნებრივი და ხელოვნური მასალით ქმნის აპლიკაციას, კოლაჟს და მოზაიკას;
- ბუნებრივი და ხელოვნური მასალის (გირჩა, ტოტი, მძივი, ფოთოლი, მარცვლეული, პლასტილინი, ხის ქერქი, ფუჩეჩი და სხვ.) გამოყენებით ქმნის სათამაშოს.

ს.გ.II.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფერს და ფორმას და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახავს ობიექტის ფორმას ნამუშევარში;
- ადეკვატურად შეარჩევს ობიექტის ფერს;
- ხატავს ნატურიდან (მაგ. მარტივ ნატურმორტს);
- გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს;
- ხატავს მეხსიერებით.

ს.გ.II.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახავს დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს (მაგ. წელიწადის დროები);

- ხატავს ფანტაზიით შექმნილ გარემოს და სიუჟეტებს;
- ქმნის ლიტერატურული ნაწარმოების მარტივ ილუსტრაციებს.

ს.გ.II.5. მოსწავლეს შეუძლია მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გაკვეთილებზე მოდის საჭირო აღჭურვილობით;
- ინიშნავს დავალებებს;
- ალაგებს სამუშაო ადგილს, რეცხავს და ინახავს სამუშაო იარაღებსა და მასალას;
- იცავს უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესებს;
- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

ს.გ.II.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში (ასრულებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციას);
- ცდილობს მოცემული ამოცანის გადაჭრას დამოუკიდებლად და მეწყვილესთან ერთად.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.II.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები, გამოთქვას აზრი და შთაბეჭდილებები საკუთარ და თანაკლასელთა ნაშრომებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- უზიარებს თანაკლასელებს შთაბეჭდილებებს წარმოდგენილ ნამუშევარზე (მომწონს, არ მომწონს);
- უსმენს თანაკლასელებს და მასწავლებელს;
- სვამს კითხვებს წარმოდგენილ ნამუშევართან დაკავშირებით;
- აცდის სხვებს საუბრის დასრულებას;
- საუბრობს შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მიიღო სხვისი ნამუშევრიდან.

ს.გ.II.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის იდეათა გამოხატვის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე, ნამუშევარში გადმოცემულ იდეებზე;
- საუბრობს იდეებზე რომლებიც მიიღო სხვისი ნამუშევრიდან;
- სვამს კითხვებს ნამუშევრის შინაარსთან დაკავშირებით;
- ასახელებს მიზეზს, რის გამოც შექმნა ესა თუ ის ნამუშევარი.

ს.გ.II.9. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მხარს უჭერს თანაკლასელებს და არის კეთილგანწყობილი მათი ნამუშევრებისა და აზრის მიმართ;
- უფრთხილდება (არ აზიანებს) საკუთარ და სხვის ნამუშევრებს.

ს.გ.II.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს საკლასო ან სასკოლო ზეიმში;
- მონაწილეობს საკლასო გამოფენაში;
- დადის მუზეუმებში და გამოფენებზე;
- ეცნობა კულტურულ მემკვიდრეობას ექსკურსიებზე.

ს.გ.II.11. მოსწავლე იცნობს ელემენტარულ ტერმინებს და შეუძლია მათი გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში მისთვის ნაცნობ ელემენტებს;
- ჩამოთვლის მასალას და ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენა ნამუშევარში;
- ესმის მის მიერ გამოყენებული ტერმინის შინაარსი.

მიმართულება ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.II.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან ხელოვნების ზოგიერთი დარგი და ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის სახვითი ხელოვნების დარგებს (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და სხვ.) და გამოყოფს თითოეულის მთავარ ელემენტს (ფერი, ხაზი, ფორმა და სხვ.);
- ამოიცნობს ნაწარმოების ჟანრს (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი და სხვ.) და გამოყოფს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ მთავარ ნიშანს;
- საუბრობს საყვარელ ილუსტრირებულ წიგნებზე; განმარტავს, რატომ მოსწონს ესა თუ ის ილუსტრაცია;
- საუბრობს ხელოვნების ნიმუშებზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება (არქიტექტურული ძეგლი, ქანდაკება და სხვ.) და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას (რომელი მოსწონს და რატომ).

ს.გ.II.13. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ყოველდღიურ ცხოვრებასა და საკუთარ გამოცდილებასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე და მასში გამოხატულ განწყობილებაზე;
- ამოიცნობს ხელოვნების ნიმუშებში ნაცნობ სიუჟეტებს, სცენებს, საგნებს და მოვლენებს;
- ხელოვნების ნიმუშებში ამოიცნობს მისთვის ნაცნობ ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, ყოფით საგნებს, გარემოში ნანახ ობიექტებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვ.;
- ამოიცნობს პეიზაჟში გეოგრაფიულ ლანდშაფტს (მთა, ქედი, ზღვა, დაბლობი, უდაბნო და სხვ.).

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი, კონტური, ფერი (ცივი, თბილი) ფორმა (სიმეტრიული, ასიმეტრიული); მარტივი ორნამენტის შექმნა (ხაზების, ლაქების, ფორმების და ფიგურების საშუალებით); განწყობილების გადმოცემა ხაზით, ფერით; კომპოზიციური განაწილების საფუძვლები (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური სასურათე სიბრტყის შერჩევა); სხვადასხვა ხერხით მთავარი ელემენტის გამოყოფა ნახატში; გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

სხვადასხვა ტიპის ხაზი და განსხვავებული სისქის კონტური - მაგალითად, პირველყოფილი ადამიანის მხატვრობა (მაგ. ალტამირას გამოქვაბული), ეგვიპტური კედლის მხატვრობა, ანრი მატისის, პაულ კლეეს, და სხვათა ნაწარმოებები;

სხვადასხვა ხერხით (ზომა, ფერი, ფორმა) ნამუშევარში მთავარის გამოყოფა - მაგალითად, ნარმერის ფილა, რაფაელ სანტი ("სიქსტეს მადონა");

ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფორმატზე ორიენტაცია - მაგალითად, პართენონის ფრიზის რელიეფები, ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობა", იან ვან ეიკის "არნოლფინების ოჯახი" და სხვ.

მასალა და იარაღი:

ფანქარი, პასტელი, გუაში, ფლომასტერი, პლასტილინი, ცვილი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, სხვადასხვა მასალის კოლოფები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა (გირჩა, ხის ქერქი, ფესვი, ტოტი, ფოთოლი, ფუჩქი, მარცვლეული, ხავსი, ნიჟარა, ფერადი კენჭები, მძივები, ღილები, დაჭმუჭნული ქაღალდი, პლასტმასი, ლითონი და სხვ.); ფუნჯი, მაკრატელი, წებო და სხვ.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ქაღალდის პლასტიკა; დახევა, დაჭრა, დაწებება, მოდელირება, კონსტრუირება.

დაკვირვება გარემოზე:

ხაზის, ფერის, ფორმის ამოცნობა.

მხატვრული იდეების წყაროები:

წარმოსახვა, გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები (ხატვა ფანტაზიით, ნატურიდან და მეხსიერებით); ადაპტირებული მითოლოგია (ქართული, ბერძნული, ძველი აღმოსავლეთის), მსოფლიოს შვიდი საოცრება, მხატვრული ლიტერატურა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ზღაპრები (მაგალითად: ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპრები, იგავ-არაკები და სხვ.); საბავშვო ლიტერატურის ილუსტრაციები (გ.ა.ვ. ტრაუგოტის ილუსტრაციები, მილნის "ვინი პუჰის" შეპარდისეული ილუსტრაციები და სხვ.) მხატვრული და ანიმაციური ფილმები; საკონცერტო, თეატრალური, საცირკო წარმოდგენები და სხვ.;

ეპიზოდები ზღაპრებიდან, საბავშვო ბიბლიიდან, ადაპტირებული მითოლოგიიდან (როგორც ქართული, ასევე ბერძნული) და სხვ. ბერძნული მითების გაცნობა შესაბამისი კერამიკული მხატვრობის ნიმუშების ჩვენებით.

სავარაუდო თემები:

“ზაფხულის არდადეგები”, “მეგობრობა”, “სოფელი შემოდგომაზე”, “შემოდგომის ნატურმორტი”, “ახალი წლის ღამე”, “ზამთრის პეიზაჟი”, “შობა”, “აღდგომა”, “ბუნება გაზაფხულზე”, “ცირკში”, “ზოოპარკში”, “ჩემი ეზო”, “ჩემი ქალაქის მოედანი”, “ფანტასტიკური ქალაქი”, “საყვარელი გმირი”, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით.

შრომითი საქმიანობა:

აღჭურვილობის მოტანა-მოწესრიგება, დავალების ჩანიშვნა, სამუშაო ადგილის დალაგება, დროის ლიმიტის, უსაფრთხოების წესებისა და ჰიგიენის დაცვა.

მუშაობის სტრატეგია:

მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

ღონისძიებები:

სასკოლო ან საკლასო გამოფენა, ზეიმი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ქალაქგარეთ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით.

წარდგინება:

ნაცნობი აუდიტორიის წინაშე ნამუშევრის წარდგენა (საუბარი ნამუშევარზე), კითხვების დასმა, პასუხის გაცემა, შთაბეჭდილებების გაზიარება, პატივისცემის გამჟღავნება სხვისი ნამუშევრის და აზრის მიმართ, სხვისი აზრის ყურადღებით მოსმენა, ელემენტარული ტერმინების გამოყენება.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების დარგების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და სხვ.) და მათი ჟანრების (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი და სხვ.), ასევე არქიტექტურული ძეგლების გაცნობა; მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშების ჩვენება:

ფერწერა - მაგალითად, კლოდ მონე, ოგიუსტ რენუარი, ვინსენტ ვან გოგი, ანრი მატისი და სხვ.

გრაფიკა - მაგალითად, ალბრეხტ დიურერი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო (გრაფიკული ნამუშევრები (მაგ. “ზარები”)) და სხვ.

ქანდაკება - მაგალითად, ეგვიპტური, შუამდინარული, არქაული ბერძნული და სხვ.

არქიტექტურა - მაგალითად: ეგვიპტური პირამიდები, პართენონი, მცხეთის ჯვარი.

განწყობილების ამოცნობა - სანდრო ბოტიჩელი (“გაზაფხული”), ოგიუსტ რენუარი და სხვ.

საუბარი შთაბეჭდილებებზე, შინაარსზე, სიუჟეტებზე, ყოფით საგნებზე, გარემოში ნანახ მოვლენებსა და ობიექტებზე.

გამოყენებითი ხელოვნება:

არქაული და ანტიკური ხანის კერამიკის ნიმუშები - ორნამენტი (გეომეტრიული, მცენარეული, სპირალური და სხვა).

III კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.III.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.</p>	<p>ს.გ.III.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და გაუზიაროს თანაკლასელებს აზრი და იდეები.</p>	<p>ს.გ.III.11. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები, ზოგიერთი ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.</p>
<p>ს.გ.III.2. მოსწავლეს შეუძლია განავითაროს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის და პროცედურის გამოყენების უნარი ნამუშევრის შექმნისას.</p>	<p>ს.გ.III.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის იდეათა გამოხატვის საშუალება.</p>	<p>ს.გ.III.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.</p>
<p>ს.გ.III.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.</p>	<p>ს.გ.III.9. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარსა და აზრს.</p>	<p>ს.გ.III.13. მოსწავლე ეცნობა ადგილობრივ გარემოში არსებულ ხელოვნების ნიმუშებს.</p>
<p>ს.გ.III.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.</p>	<p>ს.გ.III.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	
<p>ს.გ.III.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს მარტივი სამუშაო.</p>		
<p>ს.გ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.</p>		

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.III.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენტი და პრინციპი ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს განწყობილებას მხატვრული ხერხების მეშვეობით (ხაზი, ფერი და ფორმა);
- ქმნის ფაქტურებს ნამუშევარში (სხვადასხვა ტიპის მონასმებით, დაფარული ზედაპირის დაკაწვრით, თითების, ღრუბლის, ჩხირების, ჯაგრისის დახმარებით და სხვ.);
- იყენებს ცივ და თბილ ფერებს ნამუშევარში;
- ფერის ბორბალზე ამოიკნობს ძირითად, შედგენილ და კონტრასტულ ფერებს (წითელი-მწვანე, ყვითელი-იასამნისფერი, ლურჯი-ნარინჯისფერი);
- სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
- გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე.

ს.გ.III.2. მოსწავლეს შეუძლია განავითაროს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის და პროცედურის გამოყენების უნარი ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს ფანქრით, პასტელით, აკვარელით, გუაშით, ნახშირით, ცარცით და სხვ.;
- ძერწავს მარტივ ფორმებს სხვადასხვა მასალით (თიხა, პლასტილინი, ცომი, ცვილი და სხვ.);
- სხვადასხვა მასალით ქმნის მარტივ გამოსახულებებს, კომპოზიციებს;
- მოძიებული და უკვე ნაცნობი მასალით (ხის ქერქი, ნიჟარა, მავთული, თოკი, ქალაღი, მძივი, მუყაო და სხვ.) ამზადებს მარტივ ნაკეთობებს და კონსტრუქციებს.

ს.გ.III.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს და შეუძლია დაკვირვების შედეგის ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნახატში გადმოსცემს გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებას;
- ხატავს პორტრეტებს (მშობლები, თანატოლები და სხვ.);
- მეხსიერებით ხატვისას გამოსახავს ამა თუ იმ გარემოსთვის შესაბამის ობიექტებს და დამახასიათებელ ნიშნებს;
- გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს და ამინდს;
- გამოსახავს მარტივი გეომეტრიული ფორმებით აღძრულ ასოციაციებს.

ს.გ.III.4. მოსწავლეს შეუძლია ნამუშევრების შექმნა შთაბეჭდილებებისა და წარმოსახვის მეშვეობით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის სიუჟეტებს თავისუფალ თემაზე საკუთარი ფანტაზიით;
- ნამუშევარში გადმოსცემს სპექტაკლზე, კონცერტზე, ცირკში, ზოოპარკში, მუზეუმში, ექსკურსიაზე ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს;

- გამოსახავს ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გაცნობის შედეგად გაჩენილ იდეებს (თემა, სიუჟეტი, პერსონაჟი, მხატვრული ხერხი);
- ხატავს ლიტერატურული ნაწარმოების, ფილმის, მულტფილმის გმირებსა და ასევე, საკუთარი წარმოსახვით შექმნილ პერსონაჟებს.

ს.გ.III.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს მარტივი სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს საკლასო ოთახის, ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში;
- ინიშნავს დავალებებს;
- ამზადებს და ალაგებს სამუშაო იარაღებს და მასალას;
- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

ს.გ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში, ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას (ლიდერი, ჯგუფის წევრი);
- დასმულ ამოცანას გადაჭრის დამოუკიდებლად ან მეწყვილესთან ერთად;
- ითხოვს დახმარებას და იჩენს სხვების დახმარების ინიციატივას.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.III.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და გაუზიაროს თანაკლასელებს აზრი და იდეები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამბობს, რა მოსწონს ნამუშევარში, რა-არა, ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;
- უსმენს მასწავლებელსა და თანაკლასელებს და ითვალისწინებს მათ აზრს;
- აღწერს ნაწარმოების შინაარსს;
- სვამს კითხვებს უცნობი ტერმინის ან სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად;
- ნამუშევარზე საუბრისას იყენებს სათანადო ტერმინებს;
- უზიარებს მეგობრებს დაკვირვების შედეგებსა და გამოცდილებას;
- სვამს და პასუხობს კითხვებს ნამუშევრის წარდგინების დროს;
- წარმოადგენს ნამუშევრებს აუდიტორიის წინაშე.

ს.გ.III.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ნამუშევრით აღძრულ შთაბეჭდილებებზე;
- საუბრობს იმის შესახებ, თუ რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის ფერი;
- ცდილობს ამოიცნოს ჩანაფიქრი და განწყობილება სხვათა ნამუშევრებში;
- განმარტავს, რისი ასახვა უნდოდა ნამუშევარში.

ს.გ.III.9. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარსა და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- არ ხმაურობს თანაკლასელის ნამუშევრის წარდგინების დროს;

- აცდის სხვას საუბარს;
- მხარს უჭერს, ამხნევეს თანაკლასელებს, და კეთილგანწყობილია მათ მიმართ;
- უფრო ხილდება საკუთარ და სხვის ნამუშევარს.

ს.გ.III.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს საკლასო სპექტაკლში;
- მონაწილეობს საკლასო და სასკოლო ზეიმში;
- მონაწილეობს საკლასო და სასკოლო გამოფენაში;
- დადის მუზეუმებში და გამოფენებზე;
- დადის ექსკურსიებზე და ეცნობა კულტურულ მემკვიდრეობას.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.III.11. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები, ზოგიერთი ჟანრი და დააკავშიროს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ხელოვნების ცნობილ ნამუშევრებს და მიაკუთვნებს მათ შესაბამის დარგს (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება);
- საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიმართ (რომელი მოსწონს და რატომ);
- საუბრობს ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელ ნიშნებზე.

ს.გ.III.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნაწავლი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟებს და სიუჟეტებს ხელოვნების ნიმუშებში;
- აკავშირებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს (მაგ., წელიწადის დროები) იმავე თემაზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებთან, რომელიც მუსიკის გაკვეთილზე მოისმინა;
- სვამს კითხვებს ნამუშევარში ასახული საგნებისა და მოვლენების შესახებ.

ს.გ.III.13. მოსწავლე ეცნობა ადგილობრივ გარემოში არსებულ ხელოვნების ნიმუშებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ადგილობრივ გარემოში არსებულ ხელოვნების ძეგლებზე;
- მსჯელობს ხელოვან ადამიანებზე და ხელოვნების ნიმუშებზე, რომლებითაც ცნობილია მისი უბანი, სოფელი, დაბა, ქალაქი, რაიონი.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი, ფერი (ფერის ბორბალზე ძირითადი, შედგენილი და კონტრასტული ფერების ამოცნობა, ცივი და თბილი ფერების გარჩევა); ფაქტურა, ფორმა, განწყობილების

გადმოცემა ხაზის, ფერისა და ფორმის საშუალებით; ძირითადის გამოყოფა ნახატში, გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ხაზი - (მაგ., რ. ფეტვიაშვილის გრაფიკა); ფორმა, ფერი (ფერის ბორბალი, ძირითადი, შედგენილი და კონტრასტული, ცივი და თბილი) - მაგალითად, კლოდ მონე, ედგარ დეგა, ანრი მატისი, ვინსენტ ვან გოგი, პაბლო პიკასო (ცისფერი და ვარდისფერი პერიოდები), რობერ დელონე, აუგუსტ მაკე, ვასილი კანდინსკი, ფრანც მარკი და სხვ.

ნამუშევარში ძირითადის გამოყოფა (ზომა, ფერი, ფორმა) - მაგ. შესაბამისი ნიმუშები ძველი ეგვიპტის (მაგ. თებეს სამარხის კედლის მხატვრობა "ნადირობა ნილოსზე", ტუტანჰამონის სამარხის ზარდახშის მხატვრობა "ნადირობა ლომებზე"), შუამდინარეთის, ანტიკური საბერძნეთის ხელოვნებიდან; ელ გრეკო ("მაცხოვრის კვართზე წილის ყრა") და სხვა.

მასალა და იარაღი:

ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ფლომასტერი, ცარცი, ნახშირი, ფერადი ქაღალდი, ჟურნალ-გაზეთები, მუყაო, პლასტილინი, თიხა, ცომი, ცვილი; ბუნებრივი თუ ხელოვნური მასალა (თოკი, მავთული, საცობი, ნიჟარა, ხის ქერქი, ხავსი, ფერადი კენჭები, მძივები, ღილები, კოლოფები და სხვ.); ფუნჯი, მაკრატელი, წებო და ა.შ.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდით მოდელირება, ფერადი ძაფებით მარტივი კომპოზიციის შექმნა და სასურათე სიბრტყეზე დაწებება, ნიჟარების გაფერადება და მარტივი კომპოზიციის შექმნა, ქვიშაზე ხატვა, წათლილი ფერადი ფანქრებიდან მორჩენილი ნაფცქვენებით მარტივი გამოსახულებების შედგენა და სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციის შექმნა. მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია; დახევა, დაჭიმუქვანა, დაჭრა, დაწებება და სხვ.

დაკვირვება გარემოზე:

საგნების, ობიექტებისა თუ მოვლენების ნიშან-თვისებათა (ფერის, ფორმის, ფაქტურის) ასახვა. ასევე, დაკვირვების პროცესში აღმრული ასოციაციების, განწყობილებების, შთაბეჭდილებების და გაჩენილი იდეების გადმოცემა.

იდეების წყაროები:

შთაბეჭდილებები გარემოზე დაკვირვებიდან; ფანტაზია; ზღაპრული, მითოლოგიური, ბიბლიური, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები და სიუჟეტები, *მაგალითად: ბერძნული მითები, საბავშვო ბიბლია, იგავ-არაკები, მოთხრობები და სხვ.; მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვანი ნიმუშების დათვალიერება; მხატვრული და ანიმაციური ფილმები ("პიტერ პენი", "რობინ ჰუდი", "წუნა და წრუწუნა", "ჩხიკვთა ქორწილი", „სიზმარა“, დისნეის მულტიპლიკაციური ფილმები და სხვ.); მუსიკალური ნაწარმოებები: ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის "მთვარის სონატა", ანტონიო ვივალდის "წელიწადის დრონი", კლოდ დებიუსის "მთვარის შუქი", პეტრე ჩაიკოვსკის "მაკნატუნა", სერგეი პროკოფიევის "პეტია და მგელი" და სხვ.; სხვადასხვა სახის წარმოდგენა (თეატრალური, საცირკო და სხვ.); ადგილობრივი და ოჯახური სადღესასწაულო ტრადიციები.*

სავარაუდო თემები:

“მხიარული არდადეგები”, “ზღვაზე”, “მზის ჩასვლა”, “წვიმიანი დღე”, “ზედი ჩემი ფანჯრიდან”, “შემოდგომის ტყე”, “საშობაო საჩუქარი”, “გაზაფხული მოვიდა”, “ზღაპრული ფრინველი”, “თეატრში”, “მოგზაურობა აფრიკაში”, “ჯუნგლები”, “მოგზაურობა მატარებლით/თვითმფრინავით”, “მოგზაურობა კოსმოსში”, “ოცნების ქალაქი”, თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით; ეპიზოდები და პერსონაჟები მხატვრული ლიტერატურიდან და სხვ.

შრომითი საქმიანობა:

მონაწილეობა საკლასო ოთახის, ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში; დროის ლიმიტის, უსაფრთხოების წესებისა და ჰიგიენის დაცვა.

მუშაობის სტრატეგია:

მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

ღონისძიებები:

საკლასო და სასკოლო გამოფენა, შეხვედრა ხელოვანთან, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები (მუზეუმები, გალერეები, არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით.

წარდგინება:

ნამუშევრის წარდგენა (საუბარი ნამუშევარზე, შეფასება), კითხვების დასმა, პასუხის გაცემა, შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, პატივისცემის გამოხატვა სხვისი ნამუშევრის და აზრის მიმართ, სხვისი აზრის ყურადღებით მოსმენა, სათანადო ტერმინების გამოყენება.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის ცნობილი ნიმუშების დათვალიერება, ამოცნობა და მიკუთვნება კონკრეტული დარგისადმი (არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი); ნაწარმოების მიკუთვნება ჟანრთან (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი და ა.შ.); შინაარსის დაკავშირება სხვა საგნებში განვლილ მასალასთან; საუბარი ნამუშევრიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე; ნამუშევარში გადმოცემული განწყობილების ამოცნობა; ხელოვნების ადგილობრივი ძეგლების, მოღვაწეების და მათი შემოქმედების გაცნობა.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

არქიტექტურა – მაგალითად, იშთარის კარიბჭე, კოლიზეუმი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ეიფელის კოშკი და სხვ. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხუროთმოძღვრული ძეგლები - უფლისციხე, ვარძია, ხერთვისი, ერეკლე მეორეს სასახლე თელავში და სხვ.

ქანდაკება – მაგალითად, ძველი სამყარო - ეგვიპტური, ბერძნული, რომაული.

ფერწერა – კნოსოსის სასახლის მხატვრობა, პომპეის ფრესკები, ტომაზო მაზაჩო, სანდრო ბოტიჩელი, რაფაელ სანტი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ნიკო ფიროსმანი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და სხვ.

გრაფიკა – ლეონარდო და ვინჩი, ალბრეხტ დიურერი ("კურდღელი"), ანრი მატისი, ჩინური და იაპონური გრაფიკა და სხვ.

გამოყენებითი ხელოვნება:

ქართული და ბერძნული ანტიკური კერამიკა, ხალიჩები, არქეოლოგიური არტეფაქტები (მაგ. კოლხური სამკაული, კოლუმბამდელი ამერიკის და აფრიკული ნიღბები, ჭურჭელი და სხვა ნაკეთობები).

IV კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.IV.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.IV.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას და შეუძლია გამოავლინოს მათი შესაძლებლობები.</p> <p>ს.გ.IV.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.IV.4. მოსწავლეს შეუძლია გრძნობებისა და იდეების ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.IV.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სამუშაო.</p> <p>ს.გ.IV.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.</p>	<p>ს.გ.IV.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და ისაუბროს მათში გამოხატულ იდეებზე და გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე.</p> <p>ს.გ.IV.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.</p> <p>ს.გ.IV.9. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკის დროს პატივისცემით მოეკიდოს სხვის ნამუშევარს და აზრს.</p> <p>ს.გ.IV.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>ს.გ.IV.11. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს ხელოვნების სხვადასხვა დარგი.</p> <p>ს.გ.IV.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.</p> <p>ს.გ.IV.13. მოსწავლე იკვლევს მის გარშემო არსებულ ხელოვნების ნიმუშებს.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.IV.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს და შტრიხს;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ. მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის სინათლის ხარისხს (ნათელი-ბნელი), ტონალობას (ვარდისფერი, იასამნისფერი, ცისფერი და სხვ.);
- ფიგურის, ფორმის, ან ორნამენტის გამეორებით ქმნის რიტმულ კომპოზიციებს;
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს კოლაჟის, აპლიკაციის, მოზაიკისა და სხვა ტექნიკის გამოყენებით (პეპელა, ტყე და ა.შ.);
- ნახატზე მუშაობისას გადმოსცემს საგნის საერთო პროპორციას (ადამიანი სახლზე პატარაა, სახლი მანქანაზე დიდია და სხვ.);
- არჩევს ნახატში წინა და უკანა პლანს და შეუძლია სივრცის ელემენტების მარტივად გამოსახვა (ახლო საგნები უფრო დიდი, ხოლო შორეული საგნები უფრო მცირე ზომისაა).

ს.გ.IV.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას და შეუძლია გამოავლინოს მათი შესაძლებლობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის სხვადასხვა ფაქტურას (სხვადასხვა ტიპის მონასმებით, მუყაოს ნაჭრებით, ანაბეჭდებით, დაფარული ზედაპირის დაკაწვრით, ასევე, თითებით, ღრუბლით და სხვ.);
- აქცევს შეცდომას (ხარვეზს, დეფექტს) ნამუშევრის ელემენტად;
- ქმნის დეკორატიულ და გამოყენებით ნამუშევრებს (თასები, მძივები, სათამაშოები, და სხვ.) სხვადასხვა მასალით (ქსოვილი, მუყაო, მავთული, მეორადი რესურსები).

ს.გ.IV.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს თავის გარემოს - ქალაქს, სოფელს, სატრანსპორტო საშუალებებს (მატარებელს, მანქანას, თვითმფრინავს), ხიდეებს, შენობებს, მოედნებს და სხვ.;
- ხატავს ყოფით სცენებს (რთველი, დილა ოჯახში);
- აკვირდება, როგორ იცვლება ობიექტის ზომა დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით და ასახავს ნამუშევარში;
- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე და ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს (მაგ., გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს და ამინდს).

ს.გ.IV.4. მოსწავლეს შეუძლია გრძნობებისა და იდეების ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს გამომსახველობით ხერხებს ნამუშევარში ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად;
- ქმნის წარმოსახვით სახეებს;

- გადმოსცემს ცხოვრებაში ნანახ საინტერესო სცენებს და ცდილობს ასახოს საკუთარი გრძნობები მათ მიმართ.

ს.გ.IV. 5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;
- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;
- ირჩევს სამუშაო იარაღებს, მასალას, აწესრიგებს მათ განსაზღვრული დროის მონაკვეთში;
- აღადგენს დაზიანებულ ნივთებს და სასკოლო ინვენტარს (წიგნი, რუკა) აფორმებს სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებას, ქმნის მისალოც და მოსაწვევ ბარათებს, კედლის გაზეთს, აფიშას ზეიმისათვის;
- სხვადასხვა მასალით ამზადებს ჩარჩოებს, ძერწავს ქოთნებს, თასებს/ფიალებს, წნავს კალათებს;
- ფერადი ცარცებით მოხატავს სკოლის ეზოს;
- ალაგებს და ალამაზებს საკლასო ოთახს და ეხმარება უფროსებს სკოლის ეზოს დასუფთავებაში.

ს.გ.IV.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში (ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში, ფუნქციების განაწილებაში);
- ჩართულია ერთობლივი მხატვრული ნამუშევრის შექმნის პროცესში;
- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ხალისით ეხმარება თანაკლასელებს.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.IV.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და ისაუბროს მათში გამოხატულ იდეებზე და გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს საკუთარ და სხვათა ნამუშევრებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და ელემენტებზე (ჟანრი, მასალა, ტექნიკა, ფორმა, ფაქტურა და სხვ.);
- აღნიშნავს და ასაბუთებს, რა მოსწონს, რა - არა;
- ცდილობს შეფასებას, რამდენად შეძლო ჩანაფიქრის გადმოცემა ნამუშევარში;
- ხელოვნების ნამუშევარზე საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინებს განვლილი მასალიდან;
- წარდგენის დროს სვამს კითხვებს და ადეკვატურად პასუხობს სხვის მიერ დასმულ შეკითხვებს;
- წარადგენს ნამუშევრებს აუდიტორიის წინაშე ავტორის და/ან ინტერპრეტატორის როლში.

ს.გ.IV.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის რამდენიმე მიზეზს, რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნაწარმოებებს;
- საუბრობს, თუ რისი გადმოცემა სურდა ნამუშევარში (ოცნება, ემოცია, აზრი, შთაბეჭდილება);
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც გატაცებასა და პროფესიაზე.

ს.გ.IV.9. მოსწავლეს შეუძლია კრიტიკის დროს პატივისცემით მოეკიდოს სხვის ნამუშევარს და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვისი ნამუშევრის შეფასებისას ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
- აცდის სხვას საუბარს კამათის დროს;
- მხარს უჭერს, ამხნეებს თანაკლასელებს და კეთილგანწყობილია მათ მიმართ.

ს.გ.IV.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს თეატრალურ წარმოდგენებში, საკლასო და სასკოლო ზეიმებში და გამოფენებში;
- დადის მუზეუმებში და გამოფენებზე;
- დადის ექსკურსიებზე და ეცნობა კულტურულ მემკვიდრეობას.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.IV.11. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს ხელოვნების სხვადასხვა დარგი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;
- ახასიათებს დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს;
- ადარებს ხელოვნების დარგებს გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედების მიხედვით და დროში ხანგრძლივობის თვალსაზრისით;
- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს.

ს.გ.IV.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს;
- ამოიცნობს მხატვრულ ნამუშევრებში ბუნების მოვლენებს, განსხვავებულ რელიეფს, მცენარეებს და სხვ.;
- ამოიცნობს მხატვრულ ნამუშევარში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ს.გ.IV.13. მოსწავლე იკვლევს მის გარშემო არსებულ ხელოვნების ნიმუშებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აგროვებს და აცნობს თანაკლასელებს ინფორმაციას მისი რეგიონის (ქალაქი, სოფელი, დასახლება) ხელოვნების მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე;

- იცნობს და აღწერს მის რეგიონში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს;
- მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა გარემო და ეპოქა ხელოვნების ნაწარმოებში (ნამუშევარში ჩანს კონკრეტული რეგიონის ლანდშაფტი, არქიტექტურული ძეგლები, ეპოქისთვის დამახასიათებელი ნივთები და ა.შ.).

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი (შტრიხი), ფერი (ფერების შეზავებით სასურველი ფერის მიღება, თეთრის ან შავი ფერის დამატებით ფერის სინათლის ხარისხის ცვლილება (ნათელი-ბნელი), ტონალობა (ვარდისფერი, იასამნისფერი, ცისფერი და სხვ.), ფაქტურა, განწყობილების გადმოცემა ხაზის და ფერის საშუალებით, საერთო პროპორციების გადმოცემა, სივრცის გადმოცემის მცდელობა (წინა, შუა და უკანა პლანის გარჩევა გამოსახულების ზომის, მკვეთრი და მკრთალი ფერების საშუალებით), სიმეტრია, ასიმეტრია.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ხაზი (შტრიხი) - მაგ., ლეონარდო და ვინჩის, რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინის და ვინსენტ ვან გოგის გრაფიკული ნამუშევრები და სხვ.

ფერების შეზავებით სასურველი ფერის (მაგ. მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე) მიღება; თეთრის ან შავი ფერის დამატებით ფერის სინათლის ხარისხის ცვლილება (ნათელი-ბნელი), ტონალობა (ვარდისფერი, იასამნისფერი, ცისფერი და სხვ.) - მაგ., ოდილონ რედონის "პეგასი", "ნიჟარა", "მუზა პეგასზე", ანრი რუსოს "ვეფხვი ტროპიკულ შტორმში"; კლოდ მონეს "ბალი ჟივერნიში", "მეზაჟეს სახლი ვარენჟევილში", "პარლამენტი, მზის ეფექტი წყალზე"; ვინსენტ ვან გოგის "ზეთის ხილის ბალი", "ვარსკვლავებიანი ღამე", "შუადღის ძილი" და სხვ.

მასალა, იარაღი:

ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, მარკერი, ფლომასტერი, მელანი, ნახშირი, ცარცი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ჟურნალ-გაზეთები, პლასტილინი, თიხა, ქსოვილი, თოკი, მავთული, მძივი, ღილი, ნიჟარა, ფერადი კენჭები, ხის ქერქი, ხავსი, საცობი, ღრუბელი, ფუნჯი, ჩხირი, ლითონის, პლასტმასის კოლოფები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური მასალა.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ანაბეჭდი, მერწვა, აპლიკაცია, ქაღალდით მოდელირება, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია; დაჭრა, დაწებება, ღუნვა, გრეხვა დაწვნა.

იდეების გამოხატვა:

საგნებს შორის კავშირების, ასოციაციების გადმოცემა; იდეების წყაროები: ფანტაზია, ხელოვნების ცნობილი ნიმუშები მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან: *ანტიკური სამყარო - ეგვიპტე, შუამდინარეთი, საბერძნეთი; შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება, რენესანსი, XX საუკუნის რჩეული ხელოვნების ნიმუშები (მაგალითად: პაბლო პიკასო, ჯორჯ ბრაკი, ანრი მატისი, პაულ კლეე, გუსტავ კლიმტი და სხვ.) ადგილობრივი არქიტექტურის ძეგლები, შთაბეჭდილებები გარემოზე დაკვირვებიდან, მხატვრული ლიტერატურა (ანდაზები, იგავ-არაკები, მოთხრობები, ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის*

და სხვათა ლექსები), მუსიკა (ქართული და უცხოური ფოლკლორი, კამილ სენ-სანსი, მორის რაველი, ედუარდ გრიგი), ფილმი, ანიმაცია (მაგ., დისნეის მულტიპლიკაციური ფილმები), სხვადასხვა სახის (მაგ., თეატრალური ან საცირკო) წარმოდგენა; ადგილობრივი სადღესასწაულო ტრადიციები, საბავშვო თამაშები, ყოფითი სცენები.

სავარაუდო თემები:

“ზაფხულის ერთი დღე”, “ზამთრის არდადეგები”, “დილა”, “ჩემი ოჯახი”, “ოჯახური ტრადიცია”, “დაბადების დღე”, “პეპელა”, “ჩემი საყვარელი ცხოველი”, “ჩემი სკოლა”, “ზღაპრების ქვეყანაში”, “ჯადოსნური ტყე”, “წინათ და ახლა”, “მოგზაურობა დროში”, სერია: “მოგზაურობა დედამიწის გარშემო”, “მოგზაურობა გემით/თვითმფრინავით/მატარებლით...”, “სადგური”, “აეროპორტი”, “წავსადგური”, “ბიბლიოთეკა”, “მომავლის ტრანსპორტი”, “თეატრში”, “ქუჩაში”, “სპორტული შეჯიბრი”, “უცნაური საფრენი აპარატი” და სხვ. (შეიძლება იყოს ადგილობრივი საწარმოს, ადგილობრივი არქიტექტურული ძეგლის, ადგილობრივი და უცხოური ტრადიციის ამსახველი თემებიც) ასევე თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით.

შრომითი საქმიანობა:

შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობის დაგეგმვა, დროის ლიმიტის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა, მონაწილეობა საკლასო ოთახის, ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში; დაზიანებული ნივთების და სასკოლო ინვენტარის (წიგნი, რუკა) აღდგენა – სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიების გაფორმება, მისალოცი და მოსაწვევი ბარათების, ჩარჩოების, თასების, მარაოს, კედლის გაზეთის, ზეიმის აფიშის დამზადება და სხვ.

მუშაობის სტრატეგია:

მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

ღონისძიებები:

საკლასო და სასკოლო გამოფენა, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები მუზეუმში, გალერეებში, ხელოვანის სახელოსნოში, ქალაქგარეთ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით (არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების დათვალიერება).

წარდგინება:

ნამუშევრის წარდგენა (საუბარი ნამუშევარზე, შეფასება), კითხვების დასმა, პასუხის გაცემა, შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, პატივისცემის გამომჟღავნება სხვისი ნამუშევრის და აზრის მიმართ, სხვისი აზრის ყურადღებით მოსმენა, სათანადო ტერმინების გამოყენება.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ცნობილი ნიმუშების დათვალიერება, ამოცნობა და მიკუთვნება კონკრეტულ დარგთან, ჟანრთან; დარგების შედარება თითოეულის შესაძლებლობების გათვალისწინებით; შინაარსის დაკავშირება სხვა საგნებში განვლილ მასალასთან - ლიტერატურა, ბუნება; საუბარი შთაბეჭდილებებზე; განწყობილების ამოცნობა; ადგილობრივ გარემოში არსებული ხელოვნების ნიმუშების კვლევა (ინფორმაციის შეგროვება უბანში, ქალაქში, სოფელში, რაიონში მცხოვრებ

ხელოვნების მოღვაწეებზე და იმაზე, თუ როგორ აისახება გარემო და ეპოქა მათ შემოქმედებაში).

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

არქიტექტურა – საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები მაგალითად, ნეკრესი, ბოლნისის სიონი, ძველი შუამთა და სხვ.; ეგვიპტური პირამიდები, ზიკურატი, ერეხთეონი, ტაჯ-მაჰალი, პიზას კოშკი, სვანური კოშკი და სხვ.

ქანდაკება - ანტიკური სამყარო - ეგვიპტური, ბერძნული, რომაული; გოთური, რენესანსი, თანამედროვე (მაგ., ფიდიასი, მიქელანჯელო ბუონაროტი, ოგიუსტ როდენი, ედგარ დეგა, ჯაკომეტი, კლას ოლდენბურგი, იაკობ ნიკოლაძე, მერაბ ბერძენიშვილი და სხვ.).

ფერწერა - ჯოტო დი ბონდონე, ტომაზო მაზაჩო, რაფაელ სანტი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო ბუონაროტი, ვერმეერი, ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, ნიკო ფიროსმანი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი და სხვა.

გრაფიკა - მაგალითად, ანრი დე ტულუზ ლოტრეკი, კაბლო პიკასო, ჩინური და იაპონური გრაფიკა და სხვ.

ილუსტრაციები: ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი - “პატარა უფლისწული”, ა.დ. რეიპოლსკის შარლ პერო - “ლურჯწვერა”, სერგო ქობულაძის “ვეფხისტყაოსანი” და სხვ. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება – მაგალითად, კავკასიური და აღმოსავლური ხალიჩები; ძველი ჩინური ფაიფური. ძველი, თანამედროვე ქართული კერამიკა ვებ-გვერდიდან: <http://clayoffice.ge/> და სხვა.

V კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.V.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.V.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას და შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p>ს.გ.V.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.V.4. მოსწავლეს შეუძლია გრძნობების და იდეების ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.V.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</p> <p>ს.გ.V.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.</p>	<p>ს.გ.V.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და მიღებული ცოდნის საფუძველზე იმსჯელოს მხატვრული ნაწარმოების შესახებ.</p> <p>ს.გ.V.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.</p> <p>ს.გ.V.9. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>ს.გ.V.10. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან.</p> <p>ს.გ.V.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.</p> <p>ს.გ.V.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.</p> <p>ს.გ.V.13. მოსწავლე აცნობიერებს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.V.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვაგვარი მონასმებით და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას და ქმნის ფაქტურებს;
- ცდილობს შუქ-ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახოს საგანთა მოცულობა;
- ქმნის სიბრტყობრივ დეკორატიულ კომპოზიციებს;
- ნამუშევრის შექმნისას იყენებს კომპოზიციური განაწილების ძირითად ხერხებს მაგ., წონასწორობას, ხედვის წერტილს (მაგ. მოგზაურობა საჰაერო ბუმბიტით, ქვემოდან და ზემოდან დანახული სამყარო, საგნები და სხვ.);
- ავლენს პერსპექტივის კანონების ელემენტარულ/საწყის ცოდნას - წინა და უკანა პლანის გამოყენებით;
- სივრცის გამოსახატავად იყენებს ნახევარტონებს (წინა პლანი - მკვეთრი, უკანა პლანი მკრთალი);
- იყენებს ფერის გრადაციას;
- გამოსახავს ადამიანის ფიგურას ძირითადი პროპორციების გათვალისწინებით (მარტივად);
- სხვადასხვა მხატვრული ხერხით გადმოსცემს დინამიკას ნამუშევარში (ფიგურების მოძრაობა, ქარი);
- აქცევს შეცდომას (ხარვეზს, დეფექტს) ნამუშევრის ელემენტად.

ს.გ.V.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას და შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ატარებს ექსპერიმენტს ნაცნობი მასალით (სხვადასხვა გამოსახულებას, ორნამენტს ქმნის თიხაზე, მინაზე, ლითონზე, ხეზე, ქსოვილზე საღებავით) და იღებს ანაბეჭდებს;
- კომპიუტერის საშუალებით ქმნის მარტივ გამოსახულებებს, ორნამენტებს, სხვადასხვაგვარ ეფექტს;
- თავად ირჩევს მასალას და ტექნიკას (მაგ. ქსოვილს მოხატავს გუაშის და ტემპერის საღებავებით) ნამუშევარში სასურველი ეფექტის მისაღწევად.

ს.გ.V.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში საგნებს, ობიექტებს, მოვლენებს, მათ შორის არსებულ კავშირებს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება, როგორ იცვლება ობიექტის ზომა, ფერი, სიმკვეთრე დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით და ასახავს ნამუშევარში;
- ხატავს პორტრეტს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით მეტი დეტალის გამოყენებით;
- გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს სხვადასხვა რეალურ და გამოგონილ სიტუაციაში მრავალი დეტალის გამოყენებით.

ს.გ.V.4. მოსწავლეს შეუძლია გრძნობების და იდეების ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს გამომსახველობით ხერხებს და მასალას ნამუშევარში ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად;
- წარმოსახვით ქმნის პერსონაჟებს;
- ასახავს თავისი ცხოვრების საინტერესო, ან მნიშვნელოვან მომენტებს და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი გრძნობები მათ მიმართ;
- გადმოსცემს ნამუშევარში გარკვეულ იდეას (მაგალითად, ქმნის პლაკატს ეკოლოგიურ ან სხვა თემაზე);
- გამოსახავს ახლობელ ადამიანებს (ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვ.), საყვარელ ლიტერატურულ გმირებს და ცდილობს მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას.

ს.გ.V.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;
- ქმნის დეკორატიულ და გამოყენებით ნამუშევრებს;
- აკეთებს საკლასო ან საკუთარი ოთახის ინტერიერის ესკიზს;
- ქმნის/აფორმებს სასკოლო სტენდებს;
- დეკორატიულად აფორმებს სკოლის ეზოს მონაკვეთს;
- კინძავს და აახლებს სასკოლო ან საკლასო ბიბლიოთეკის წიგნებს;
- ხატავს და ამზადებს თეატრალური კოსტუმის და დეკორაციის დეტალებს (ქუდი, ნიღაბი).

ს.გ.V.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თანამშრომლობს სხვებთან საერთო პრობლემის გადაჭრისას;
- ითხოვს დახმარებას საკუთარი იდეის განსახორციელებლად;
- ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში ითხოვს მათგან დახმარებას;
- მონაწილეობს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.V.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და მიღებული ცოდნის საფუძველზე იმსჯელოს მხატვრული ნაწარმოების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს საკუთარ და/ან სხვის ნამუშევრებზე და ასაბუთებს, რატომ მოსწონს ან არ მოსწონს რომელიმე მათგანი;
- კრიტიკის დროს პატივისცემით ეკიდება სხვის ნამუშევარს და აზრს;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინებს;
- ადეკვატურად პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს;
- ამოიცნობს ისტორიაში და ლიტერატურაში განვლილ თემებს და პერსონაჟებს;
- საუბრობს ნაწარმოების შინაარსზე;

- მსჯელობს ნამუშევრებში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და ელემენტებზე (ჟანრი, ტექნიკა, მასალა, კოლორიტი, კომპოზიციური განაწილების პრინციპი და სხვ.).

ს.გ.V.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშით აღძრულ განწყობილებებსა და გრძნობებზე;
- საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს მასზე ესა თუ ის ფერი, ხაზი, ლაქა, ფორმა;
- საუბრობს, რომ სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით განსხვავებული გრძნობებისა და იდეების გადმოცემა შეიძლება.

ს.გ.V.9. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გამოფენაში;
- მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში;
- მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციებში (მაგ. გარემოს დაცვა);
- ხვდება ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.V.10. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების ფუნქციურ დანიშნულებაზე (თავდაცვითი, საკულტო, საყოფაცხოვრებო არქიტექტურა და სხვ.);
- გამოთქვამს მოსაზრებას, რომელი სოციალური ფენისთვის იყო განკუთვნილი გამოყენებითი ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში;
- მსჯელობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეული ნიმუშის დანიშნულებაზე (სახვითი, დეკორატიული, გამოყენებითი, რელიგიური, ესთეტიკური, საინფორმაციო).

ს.გ.V.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ისტორიულ ან ლიტერატურულ პერსონაჟებსა და ისტორიულ მოვლენებს ხელოვნების ნიმუშებში;
- აგროვებს ინფორმაციას რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულ ხელოვნების ნიმუშებზე;
- მოიძიებს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურაში ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ნამუშევრებს.

ს.გ.V.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მატერიალური კულტურის ძეგლებზე, რომლებიც უნახავს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
- აგროვებს და კლასის წინაშე წარადგენს ინფორმაციას ქართული ქანდაკებისა და არქიტექტურის რამდენიმე ნიმუშზე;
- მოიძიებს ინფორმაციას რამდენიმე ცნობილი ქართველი მხატვრის, მოქანდაკის შესახებ და წარადგენს კლასის წინაშე.

ს.გ.V.13. მოსწავლე აცნობიერებს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს მის ქალაქში/რაიონში/ქვეყანაში არსებულ კულტურულ დაწესებულებებს (მუზეუმი, გალერეა, კინოთეატრი) და მსჯელობს მათ დანიშნულებაზე;
- აგროვებს ინფორმაციას და აანალიზებს ხელოვნების სფეროში ვინ და რით გაუთქვა სახელი მის ქალაქს/სოფელს/ქვეყანას;
- აგროვებს და აცნობს თანაკლასელებს ინფორმაციას ცნობილი ხელოვანის შემოქმედებაზე და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი, ფერი (კონტრასტი, გრადაცია), შუქ-ჩრდილი, ფაქტურა (სხვადასხვა ფაქტურის შექმნა), ფორმა, მოცულობა; (განწყობილების გადმოცემა ხაზის და ფერის, სხვადასხვაგვარი მონასმების საშუალებით, მთლიანობის და საერთო პროპორციების გადმოცემა); სივრცე (ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა, ხედვის წერტილი, წინა და უკანა პლანის გარჩევა საგნის ზომისა და ტონალობის საშუალებით); სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, სტატიკა და დინამიკა; კომპოზიციური განაწილების ძირითადი ხერხები.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ხაზი – ანრი მატისი (მაგ. “თემები და ვარიაციები, ანელი”, შარლ ბოდლერის პორტრეტი, “სახე I, ლიდია”) პაბლო პიკასო (მაგ. “მშვიდობის მტრედი”, “კორიდა”, “დონ კიხოტი”), რუსუდან ფეტვიაშვილის გრაფიკა, აღმოსავლური და ჩინური კალიგრაფიის ნიმუშები და სხვ.

ფერი – ფაიუმის პორტრეტი, პიერო დელა ფრანჩესკა, პიტერ ბრეიგელი, ფრანს ჰალსი, ტერბორხი, ადრეული (მცირე) ჰოლანდიელები; იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტები (ედუარდ მანე, კლოდ მონე, ალფრედ სისლეი, ჟორჟ სერა, პოლ სეზანი, ვინსენტ ვან გოგი); ქართველი მხატვრები – დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, მოსე თოიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, დავით გველესიანი, გურამ ქუთათელაძე, ედმუნდ კალანდაძე და სხვ.

კომპოზიციური განაწილების ძირითადი ხერხები – ლეონარდო და ვინჩის “საიდუმლო სერობა”(პერსპექტივა, სიმეტრია, წონასწორობა); რაფაელ სანტის “რაინდის სიზმარი” (სიმეტრია, წონასწორობა); ედგარ დეგას “ბალერინები” (ასიმეტრია); ეგვიპტური კედლის მხატვრობა, ფიდასის პანათენელთა მსვლელობა (ფრიზისებური კომპოზიცია, რიტმი); ფიროსმანი – “მეთევზე”, “მეზოვე”, ქეიფის სცენები (სტატიკა); ანრი მატისის “ცეკვა”, ჯაკომო ბალას “გოგონა აივანზე”, “ყელსაბამიანი ძაღლის მოძრაობის რიტმი” (დინამიკა) და სხვა.

ხედვის წერტილი; პიტერ ბრეიგელი “მონადირეები თოვლზე”, კლოდ მონე “კაპუცინების ბულვარი პარიზში”, დავით კაკაბაძე – იმერეთის პეიზაჟები, ვან გოგი

“მეთევზეთა ნავები”, (პორიზონტის ხაზი). რენე მაგრიტი “ადამიანის მდგომარეობა” და სხვა.

მასალა, იარაღი:

ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ნახშირი, ცარცი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ბეჭდური/პოლიგრაფიული პროდუქცია, პლასტილინი, თიხა, ქსოვილი, თოკი, მავთული, ლითონის, პლასტმასის, მუყაოს კოლოფები, ბუნებრივი (მარცვლეული მოზაიკისთვის; საცობი, ფოთლები ანაბეჭდისთვის) და ხელოვნური (მათ შორის, მეორადი) მასალა; ექსპერიმენტი სხვადასხვა მასალითა და იარაღით.

ტექნიკა, პროცედურა და პროცესები:

ფერწერის, გრაფიკის ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის ნაკეთობები, მოზაიკა, კოლაჟი, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული გრაფიკა; დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვना.

იდეების გამოხატვა:

ემოციებით აღძრული ასოციაციები და შთაბეჭდილებები, განწყობილების შექმნა მარტივი მიმიკის და ჟესტიკულაციის გამოყენებით.

იდეების წყაროები:

საგნებს შორის კავშირების, ასოციაციების გადმოცემა; იდეების წყაროები: ფანტაზია, ხელოვნების ცნობილი ნიმუშები მსოფლიო ხელოვნების ისტორიიდან, ადგილობრივი არქიტექტურის ძეგლები, შთაბეჭდილებები გარემოზე დაკვირვებიდან, ისტორია, მითოლოგია, მხატვრული ლიტერატურა (ანდაზები, იგავ-არაკები, მოთხრობები), მუსიკა (ქართული და უცხოური ფოლკლორი), ფილმი, ანიმაცია, თეატრალური წარმოდგენა; ადგილობრივი სადღესასწაულო ტრადიციები, ყოფითი სცენები. რეალურად მომხდარი საზოგადო მოვლენები, პირადი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და სხვა.

სავარაუდო თემები:

“შხის ჩასვლა ზღვაში”, “შემოდგომის/გაზაფხულის წვიმა”, “რთველი”, “მშობლიური კუთხე” “ქვის ხანის ადამიანი”, “დინოზავრები”, “მითოლოგიური გმირები”, “სემირამიდას დაკიდული ბაღები”, “საყვარელი ისტორიული გმირი”, “დედამიწა - ჩემი სახლი”, “ერთგულება”, “ექსკურსია”, “მოგზაურობა საჰაერო ბუშტით” და სხვ.

შრომითი საქმიანობა:

დეკორატიული და გამოყენებითი საგნები, წიგნები (აკინძვა, შეკეთება), თეატრალური რეკვიზიტი (კოსტიუმისა და დეკორაციის დეტალები); მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

კომუნიკაცია:

ნამუშევრის წარდგენა (მსჯელობა ჩანაფიქრზე, შესრულების პროცესზე, ნამუშევრის განსავითარებელ და ძლიერ მხარეებზე, კავშირზე სხვა საგნებთან), კითხვების დასმა, პასუხის გაცემა, შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, დამოკიდებულების გამოხატვა, შეფასება და მისი დასაბუთება, პატივისცემის გამოქვეყნება სხვისი ნამუშევრის და აზრის მიმართ კრიტიკის დროს, სათანადო

ტერმინების გამოყენება; საუბარი ნამუშევრიდან მიღებულ ინფორმაციაზე; საკლასო და სასკოლო გამოფენა, სპექტაკლი, აქცია, ექსკურსიები მუზეუმში, გალერეებში, ქალაქგარეთ.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების ცნობილი ნამუშევრების დათვალიერება, ამოცნობა, დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან; საუბარი დეკორატიულ - გამოყენებითი საგნების დანიშნულებაზე, ხელოვნების როლზე საზოგადოებრივ ადგილებში; შინაარსის დაკავშირება ისტორიასთან, კულტურასთან; ინფორმაციის შეგროვება მათ ქალაქში, სოფელში, რაიონში მცხოვრებ ხელოვნების მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ფერწერა და გრაფიკა - ეჟენ დელაკრუა, დომინიკ ენგრი, ჟაკ-ლუი დავიდი, ონორე დომიე, უილიამ ტერნერი, ფრანსისკო გოია, კამილ პისარო, პოლ სეზანი, ანრი დე ტულუზ ლოტრეკი, ჟორჟ სერა, პოლ სინიაკი, ანდრე დერენი, მორის დე ვლამინკი, და სხვ..

ქანდაკება - მაგ., აღდგომის კუნძულის ქვის ქანდაკებები, აბუ-სიმბელის რამზესის კოლოსები, ჩინეთის ტერაკოტის მეომრები, ბერძნული არქაული და კლასიკური ქანდაკება, შუმერული ქანდაკება, მიქელანჯელოს ქანდაკებები, რაშმორის მთის კლდეში ნაკვეთი პორტრეტები, თავისუფლების ქანდაკება;

რელიეფები - ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, ნიკორწმინდა და სხვ.

არქიტექტურა - სთოუნჰენჯი, თერმები, პეტრა, სანტა-მარია დელ ფიორეს ტაძარი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები (გურჯაანის ყველაწმინდა, კვეტერა, ხახული, რკონი და სხვ.) თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშები: მაგ., კულა-ლუმპურის ტყუპი ცათამბრჯენი და სხვ.

გამოყენებითი ხელოვნება:

ბედიის ბარძიმი, მამაის ტონდო, თამარ მეფის ჯვარი, ბრინჯაოს ხანის ქართული არტეფაქტები, შუმერული, ეგვიპტური, შუამდინარეთის, ანტიკური ხანის, ადრე ქრისტიანული ხანის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; ჰერალდიკის მარტივი მაგალითები, ჩინური აბრეშუმი, ფაიფური; ეტრუსკული კერამიკის ნიმუშები, სპარსული, ესპანური, ჰოლანდიური კერამიკული ფილები, აღმოსავლური ხალიჩები და სხვა.

VI კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.VI.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.</p>	<p>ს.გ.VI.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და სხვა საგნებში მიღებული ცოდნის საფუძველზე იმსჯელოს მხატვრული ნაწარმოების შესახებ.</p>	<p>ს.გ.VI.10. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან.</p>
<p>ს.გ.VI.2. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.</p>	<p>ს.გ.VI.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.</p>	<p>ს.გ.VI.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.</p>
<p>ს.გ.VI.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში ობიექტებს შორის კავშირებს და შეუძლია მათი თავისებურებების გადმოცემა ნამუშევარში.</p>	<p>ს.გ.VI.9. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>ს.გ.VI.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.</p>
<p>ს.გ.VI.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია მათი გამოსახვა ნამუშევარში.</p>		<p>ს.გ.VI.13. მოსწავლე აცნობიერებს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.</p>
<p>ს.გ.VI.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</p>		
<p>ს.გ.VI.6. მოსწავლეს შეუძლია გუნდში მუშაობა შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემების გადასაჭრელად.</p>		

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.VI.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვაგვარი მონასმებით და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას და ქმნის ფაქტურებს;
- იყენებს ფერთა გრადაციას;
- იყენებს კონტრასტულ და მონათესავე ფერებს;
- შუქ-ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
- ქმნის რთულ ორნამენტს ფორმების, ფერების, ხაზების, მონასმების გამეორებით;
- აკვირდება და ასახავს საგანთა თანაფარდობას და პროპორციას (მარტივად);
- ხატავს სივრცეს პერსპექტივის ძირითადი კანონების გამოყენებით (წინა, შუა და უკანა პლანი, ნახევარტონები.);
- ქმნის მრავალფეროვან კომპოზიციებს.

ს.გ.VI.2. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ქმნის მცირე ზომის ფორმებს სხვადასხვა მოძიებული მასალით;
- ასრულებს გრაფიკულ ნამუშევარს სხვადასხვა მასალით (ტუში, მელანი, ნახშირი და სხვ.);
- კომპიუტერის საშუალებით ქმნის მარტივ კომპოზიციებს;
- კონკრეტული მოცემულობის შესაბამისად თავად ირჩევს მასალას და ტექნიკას.

ს.გ.VI.3. მოსწავლე აკვირდება გარემოში ობიექტებს შორის კავშირებს და შეუძლია მათი თავისებურებების გადმოცემა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს პორტრეტებს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით სახასიათო ნიშნების გამოყენებით;
- გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს, სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნების, დეტალების გამოყენებით რეალურ თუ გამოგონილ სიტუაციაში.

ს.გ.VI.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია მათი გამოსახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის მისთვის საინტერესო რამდენიმე მოვლენას და ცდილობს საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას ნამუშევარში;
- იღებს იდეებს სხვა საგნებში განვლილი მასალიდან და გამოსახავს მათ ნამუშევარში;
- ნამუშევარში გადმოსცემს ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს;
- ასახავს მსოფლიოში მომხდარ უახლეს მნიშვნელოვან მოვლენას და ცდილობს გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება მის მიმართ.

ს.გ.VI.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს სამუშაოს თანმიმდევრობას;
- მონაწილეობს ერთობლივი შემოქმედებითი და საორგანიზაციო გადაწყვეტილების მიღებაში;
- ანაწილებს ფუნქციებს შესასრულებელი სამუშაოს მიზნიდან გამომდინარე;
- განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების სავარაუდო დროს;
- განიხილავს გეგმის რამდენიმე ვარიანტს და შეარჩევს ერთ-ერთს;
- ქმნის ტანისამოსის, ავეჯის, სხვადასხვა ნივთის ესკიზს;
- ქმნის ინტერიერის (საკლასო ოთახი, სკოლის სპორტული დარბაზი, თავისი ოთახი) ესკიზებს;
- რგავს და უვლის ხეებს და ყვავილებს;
- აფორმებს სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებას;
- უმცროსკლასელებს ეხმარება ზეიმების გაფორმებაში, ინვენტარის შეკეთებაში, კლასის მოწყობაში;
- ზეიმებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის ხატავს მარტივი დეკორაციების და კოსტუმების დეტალების ესკიზებს და მონაწილეობს მათ დამზადებაში;
- სხვადასხვა მასალის გამოყენებით ქმნის მაკეტებს თეატრალური სპექტაკლისთვის;
- კონსტრუქტორის სქემების და დეტალების გამოყენებით აგებს მარტივ ელექტროსათამაშოს.

ს.გ.VI.6. მოსწავლეს შეუძლია გუნდში მუშაობა შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემების გადასაჭრელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანაწილებს გუნდში ფუნქციებს/მოვალეობებს;
- ითვალისწინებს და იყენებს გუნდელის/ების შესაძლებლობებს;
- ითხოვს დახმარებას და თანამშრომლობს სხვებთან კონკრეტული შემოქმედებითი პრობლემის გადაჭრისას.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.VI.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და სხვა საგნებში მიღებული ცოდნის საფუძველზე იმსჯელოს მხატვრული ნაწარმოების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს საკუთარ არჩევანზე და ჩანაფიქრზე, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს სხვა საგნებში განვლილ მასალას;
- საუბრობს ნაწარმოების შინაარსზე;
- მსჯელობს საკუთარ და სხვის ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებსა და ელემენტებზე (ჟანრი, ტექნიკა, მასალა, კოლორიტი, კომპოზიციური განაწილების პრინციპი და სხვ.);
- საუბრობს ნამუშევარში გადმოცემულ განწყობილებაზე;
- მსჯელობს საკუთარი ნამუშევრის სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

ს.გ.VI.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ესაუბრება მეგობრებს ნახატებით;
- გამოთქვამს აზრს ავტორის ჩანაფიქრის შესახებ;
- საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე;
- საუბრობს ინფორმაციაზე, რომელიც მიიღო სპექტაკლიდან, ფილმიდან, ფერწერული/გრაფიკული ნამუშევრებიდან, წიგნის ილუსტრაციებიდან.

ს.გ.VI.9. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- განსაზღვრავს სხვადასხვა ღონისძიების თემას და მიზანს;
- აწყობს გამოფენას;
- მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში;
- აწყობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციებში (მაგ. აქცია გარემოს დაცვის თემაზე);
- აწყობს შეხვედრებს ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.VI.10. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სხვადასხვა კულტურათა ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს;
- ასახელებს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების შექმნის მიზეზებს (პირამიდები, ჩინეთის კედელი, ცათამბჯენების და სხვ.);
- მსჯელობს, როგორ აისახება სოციალური, ისტორიული და რელიგიური კონტექსტი ხელოვნების ნიმუშის ვიზუალურ მხარეზე.

ს.გ.VI.11. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ვიზუალური დეტალების მიხედვით (ნივთები, ტანსაცმელი, შენობები, ტრანსპორტი) ამოიცნობს, რომელი ეპოქა და კულტურა ასახული ნაწარმოებში;
- იკვლევს რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულ ხელოვნების ნიმუშებს;
- მსჯელობს ხელოვნების ნიმუშებში ასახულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟებზე და საუბრობს მათ ხასიათზე.

ს.გ.VI.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აგროვებს და აცნობს თანაკლასელებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო ისტორიული პერიოდის ქართული ხელოვნების ძეგლებზე (მაგ., საქართველოს ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები);
- მსჯელობს ქართული კედლის მხატვრობის ცნობილ ნიმუშებზე;
- ჩამოთვლის ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა, ხელნაწერთა მინიატურა და სხვ.) რამდენიმე ნიმუშს;

- იხატავს ქართული ჩუქურთმის ნიმუშებს.

ს.გ.VI.13. მოსწავლე აცნობიერებს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიებზე და მათ მნიშვნელობაზე;
- მსჯელობს ხელოვნებაზე, როგორც გატაცებასა და პროფესიაზე;
- ასახელებს მის ქალაქში/რაიონში/ქვეყანაში არსებულ კულტურულ დაწესებულებებს (მუზეუმი, გალერეა, კინოთეატრი) და მსჯელობს მათ დანიშნულებაზე.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი, ფერი (კონტრასტული, მონათესავე, გრადაცია), შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; პროპორციები; წერტილი); პერსპექტივა (წინა, შუა და უკანა პლანი, ხედვის წერტილი); სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, მთლიანობა, კონტრასტი, (განწყობილების გადმოცემა ხაზის და ფერის, სხვადასხვაგვარი მონასმების საშუალებით).

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ხაზი - სპარსული მინიატურა, ალფონს მუხა, ობრი ბერდსლეი, ლადო გუდიაშვილი, პეტრე ოცხელი და სხვ.

ფერი - გერმანელი ექსპრესიონისტები ("ზიდი" და ლურჯი მხედარი" - ერნსტ ლუდვიგ კირხნერი, ემილ ნოლდე, ვასილი კანდინსკი, ფრანც მარკი და სხვ.), ფოვისტი მხატვრები (ანდრე დერენი, მორის უტრილო, ჟორჟ რუო და სხვ.), მარკ შაგალი, ამადეო მოდილიანი, ხაიმ სიუტინი, კაზიმირ მალევიჩი, პიტ მონდრიანი, ჯეკსონ პოლოკი, მარკ როტკო და სხვ.

კომპოზიციური განაწილების ძირითადი ხერხები - ბერძნული ლარნაკების მოხატულობა, პიეტრო პერუჯინო ("გასაღების გადაცემა"), ვატიკანის სტანცები; ნიკოლა პუსენი ("არკადიელი მწყემსები"), ედგარ დეგას საბალეტო სერია და სხვ. (ასიმეტრია); გუსტავ კლიმტი (სტატიკა); სანდრო ბოტიჩელი "გაზაფხული", ანრი მატისის "ცეკვა" (დინამიკა); იან სტენი (მაგ. "ეჟიმის ვიზიტი", "მეობა", "კვერცხების ცეკვა", "ოჯახური ლოცვა", "გოგონების და ბიჭუნების სკოლა", "წმ. ნიკოლოზის დღე", "ავადმყოფი და ეჟიმი". პიტერ დე ჰოოხი, იან ვერმეერი, ჟან ფრანსუა მილლე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, ოსკარ შმერლინგი (ყოფითი ჟანრი); ანდრეა მანტენია (ხედვის წერტილი); სალვადორ დალის "ჯვარცმა", რენე მაგრიტი (ჰორიზონტის ხაზი).

მასალა და იარაღი:

ტუში, ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ნახშირი, ცარცი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, პლასტილინი, თიხა, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული; ლითონის, პლასტმასის კოლოფები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა; ექსპერიმენტი სხვადასხვა მასალით; სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი.

ტექნიკა, პროცედურა და ტექნოლოგიები:

ფერწერა, გრაფიკა, გრაფიტი, ანაბეჭდი, ძერწვა, აპლიკაცია, ქალაქის პლასტიკა, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, ფარდაგი, თეჟა, გობელენი, ნაქარგობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები;

დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა.

ფერწერის, გრაფიკის ტექნიკები (მონასმი, ლაჟა, ანაბეჭდი, ძერწვა, აპლიკაცია, ქალაქის ნაკეთობები, მოზაიკა, კოლაჟი, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული გრაფიკა; დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა.

იდებების გამოხატვა:

იდებების წყაროები: ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, შთაბეჭდილებები გარემოზე დაკვირვებიდან, ასოციაციები, ფანტაზია, მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, ფილმი კონცერტი, წარმოდგენა, საინფორმაციო საშუალებები.

სავარაუდო თემები:

“წელიწადის ოთხი დრო”, “ზღაპრული ბაღი”, “საყვარელი ფილმის გმირი”, “ქართული ორნამენტის მოტივები”, “ლეგენდების სამყარო”, “სამშობლო”, “გმირობა”, ემბლემა, ლოგო, ღერბი, დროშა, ექსლიბრისი.

შრომითი საქმიანობა:

დეკორატიული და გამოყენებითი საგნები, წიგნები (აკინძვა), თეატრალური რეკვიზიტი (კოსტიუმისა და დეკორაციის დეტალები); ინტერიერის ესკიზები, ინვენტარის შეკეთება, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, ზეიმების და თეატრალური წარმოდგენების აფიშა; მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

კომუნიკაცია:

ნამუშევრის წარდგენა აუდიტორიის წინაშე, (მსჯელობა ჩანაფიქრზე, ემოციაზე, მიზნებზე, ამოცანებზე, შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, შეფასება და მისი დასაბუთება, სათანადო ტერმინების გამოყენება;

საუბარი ნამუშევრიდან მიღებულ კულტურულ ინფორმაციაზე;

საკლასო და სასკოლო გამოფენა, სპექტაკლი, აქცია, შეხვედრები ხელოვნების მოღვაწეებთან, ექსკურსიები მუზეუმში, გალერეებში, სახელოსნოებში, ქალაქგარეთ.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების ცნობილი ნამუშევრების დათვალიერება, ამოცნობა და დაკავშირება ქვეყნის კულტურასთან; პირობითი და რეალისტური ნამუშევრების შედარება; ისტორიული და კულტურული ასპექტის გავლენა ხელოვნების ნიმუშის შინაარსზე;

ინფორმაციის მოპოვება ხელოვნების ქართველ მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე; ქართული ხელოვნების დარგების გაცნობა: კედლის მხატვრობა, არქიტექტურა, მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა, მინიატურა და სხვ.

ხელოვნების როლის კვლევა საზოგადოების ცხოვრებაში.

სახვითი ხელოვნების ცნობილი ნამუშევრების დათვალიერება, ამოცნობა, დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტთან; საუბარი დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დანიშნულებაზე, ხელოვნების როლზე საზოგადოებრივ ადგილებში; შინაარსის დაკავშირება ისტორიასთან, კულტურასთან; ინფორმაციის

შეგროვება მათ ქალაქში, სოფელში, რაიონში მცხოვრებ ხელოვნების მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

ფერწერა და გრაფიკა - ეგვიპტის კედლის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტი, პომპეის ფრესკები, რენესანსი - დაზგური და კედლის მხატვრობის ნიმუშები, დელაკრუა, ენგრი, დავიდი, იმპრესიონისტები, პოსტიმპრესიონისტები. ქართული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ნიმუშები (ბეთანია, ვარძია, გელათი, დავით გარეჯის მხატვრობა, სვანური სკოლა და სხვ.) ქართული დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშები (მაგ. თბილისური პორტეტული სკოლა).

ქანდაკება - ეგვიპტე, შუამდინარეთი, გოთიკა, რენესანსი, მე-19-20 სს. (მაგ. როდენი, მაიოლი, ბარლახი, ბრანკუზი, ჯაკომეტი და სხვ.).

არქიტექტურა - აია სოფიას ტაძარი, წმ. პეტრეს ტაძარი, იერუსალიმის ტაძარი, ვერსალის სასახლე, ერმიტაჟი, გაუდის არქიტექტურა, ქართული ხუროთმოძღვრება - სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, ოშკი, სამთავისი, გელათის მონასტერი, ბეთანია, ვარძია და სხვ.

გამოყენებითი ხელოვნება - შუმერული, ეგვიპტური, ანტიკური ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და სამკაული; ადრექრისტიანული ხანის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; ჰერალდიკის მაგალითები; ჩინური აბრეშუმი; კოლხური ოქრომჭედლობა და სხვ.

თავი XLVII

საგნობრივი პროგრამა საბაზო საფეხურზე

VII კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.VII.1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.VII.2. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.VII.3. მოსწავლე აფართოებს გარემოში ობიექტებს შორის არსებული კავშირების ასახვის გზებს ნამუშევარში და შეუძლია გადმოსცეს დეტალები.</p> <p>ს.გ.VII.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვან გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.VII.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</p> <p>ს.გ.VII.6. მოსწავლეს შეუძლია გუნდში მუშაობა შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემების გადასაჭრელად.</p>	<p>ს.გ.VII.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთქვას და დაასაბუთოს საკუთარი აზრი ხელოვნების ნაწარმოების შესახებ.</p> <p>ს.გ.VII.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.</p> <p>ს.გ.VII.9. მოსწავლე კრიტიკის დროს პატივისცემით ეკიდება სხვის ნამუშევარს და აზრს.</p> <p>ს.გ.VII.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>ს.გ.VII.11. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშები.</p> <p>ს.გ.VII.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.</p> <p>ს.გ.VII.13. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.</p> <p>ს.გ.VII.14. მოსწავლე იკვლევს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.VII.1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს სხვადასხვა ხერხს (შუქ-ჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, მონასმი, ფაქტურა, კოლორიტი) ასოციაციების და ემოციების გადმოსაცემად;
- პეიზაჟის, ქუჩის (ლანდშაფტის) გამოსახვისას იყენებს ჰორიზონტის ხაზს;
- ნამუშევრის შექმნისას იყენებს კომპოზიციური განაწილების ძირითად ხერხებს მაგ., ხედვის წერტილს, წონასწორობას, სიმეტრიას, ასიმეტრიას, სტატიკას, დინამიკას;
- გამოსახავს მრავალფეროვან კომპოზიციებს;
- სხვადასხვაგვარი (წრიული, ვერტიკალური, ჰორიზონტალური, დიაგონალური) მონასმებით ქმნის დიდი ზომის ნამუშევრებს;
- გამოსახავს ადამიანის ფიგურას ძირითადი პროპორციების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა მხატვრული ხერხით გადმოსცემს დინამიკას, სტატიკას ნამუშევარში (ფიგურების მოძრაობა, ქარი);
- აქცევს შეცდომას ნამუშევრის ელემენტად;
- ხატავს სივრცეს პერსპექტივის ძირითადი კანონების გამოყენებით.

ს.გ.VII.2. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს ტრადიციული ხელსაქმის რომელიმე სახეობას და ქმნის ნიმუშებს (ფარდაგი, თექა, გობელენი, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე ჭრა, მეთუნეობა და სხვ.);
- ქმნის კომპოზიციებს სხვადასხვა მოძიებული მასალით;
- ასრულებს გრაფიკულ ნამუშევრებს სხვადასხვა მანერით (ხაზი, შტრიხი, მონასმი, სხვადასხვა ზომის და ფორმის ფუნჯები, კალამი და მცენარის ღეროები);
- ირჩევს შესაბამის გამომსახველობით ხერხებს, მასალას, ტექნიკას და თემატიკას განწყობილების გადმოსაცემად.

ს.გ.VII.3. მოსწავლე აფართოებს გარემოში ობიექტებს შორის არსებული კავშირების ასახვის გზებს ნამუშევარში და შეუძლია გადმოსცეს დეტალები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხატავს შესაბამის გარემოში ადამიანებს, ფრინველებს, ცხოველებს და მცენარეებს ნატურიდან და მეხსიერებით მეტი დეტალის გამოყენებით;
- ხატავს ყოფით სცენებს;
- ხატავს ნატურიდან და მეხსიერებით ოთახის ინტერიერს (საკუთარი ოთახის, საკლასო ოთახის და სხვა).

ს.გ.VII.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია მათი ასახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს თემებს იდეების და განწყობილებების გამოსახატავად;
- ხატავს გრძნობებით აღძრულ ასოციაციებს და შთაბეჭდილებებს;
- იყენებს სხვა საგნებში მიღებულ ცოდნას ნამუშევრის სიუჟეტისთვის;
- მარტივად გამოსახავს მიმიკას, ქესტიკულაციას და დეტალებს (კოსტიუმი, აქსესუარები) პორტრეტში ხასიათის გადმოსაცემად;
- იყენებს სხვადასხვა კულტურისა და პერიოდის მხატვრების ნამუშევრებს, როგორც წყაროს საკუთარი ნამუშევრის შესაქმნელად;
- გადმოსცემს ნამუშევარში გარკვეულ, იდეას სიმბოლოების საშუალებით (მაგალითად ქმნის კლასის, სკოლის, გუნდის ემბლემას).

ს.გ.VII.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს სამუშაო გეგმის რამდენიმე ვარიანტს და შეარჩევს ერთ-ერთს;
- გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას და სამუშაო გრაფიკს, ანაწილებს ფუნქციებს, აკონტროლებს სამუშაოს მიმდინარეობას, პრობლემის შემთხვევაში ცვლის სტრატეგიას;
- ქმნის ნაკეთობების დიზაინის ესკიზებს (სამოსი, ტრანსპორტი, სპორტული ინვენტარი და სხვ.);
- აკეთებს საკლასო ოთახის ინტერიერის ესკიზს;
- დეკორატიულად აფორმებს სკოლის ეზოს, კუთხეს;
- ხატავს და ამზადებს თეატრალური კოსტიუმის და დეკორაციის დეტალებს (ქუდი, ნიღაბი, ფარდა, თაიგული);
- აფორმებს სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებას, ქმნის მისალოც და მოსაწვევ ბარათებს, ჩარჩოებს, თასებს, კედლის გაზეთს, აფიშას ზეიმისათვის;
- აღადგენს დაზიანებულ ნივთებს და სასკოლო ინვენტარს (მერხი, რუკა);
- კინძავს და აახლებს სასკოლო ან საკლასო ბიბლიოთეკის წიგნებს.

ს.გ.VII.6. მოსწავლეს შეუძლია გუნდში მუშაობა შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემების გადასაჭრელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანაწილებს ფუნქციებს შესასრულებელი ამოცანის მიზნიდან გამომდინარე;
- განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადას და იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;
- მონაწილეობს ერთობლივი შემოქმედებითი და საორგანიზაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.VII.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთქვას და დაასაბუთოს საკუთარი აზრი ხელოვნების ნაწარმოების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წარადგენს ნამუშევარს ფართო აუდიტორიის წინაშე (მაგ., სასკოლო გამოფენაზე);
- საუბრობს მსგავსებებზე და განსხვავებებზე საკუთარ და სხვების ნამუშევრებში;
- კორექტულია სხვის ნამუშევარზე საუბრისას;

- ჯგუფური ნამუშევრების წარდგენისას საუბრობს იმ მიზნებზე და ამოცანებზე, რომლებიც ჯგუფს ჰქონდა დასახული (რამდენად მიაღწია ჯგუფმა დასახულ მიზანს (რა იყო წარმატებული და რას გაითვალისწინებს ჯგუფი სამომავლოდ);
- საუბრობს ნამუშევრის შექმნის მოტივებზე;
- მსჯელობს ნამუშევარზე მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების მიხედვით;
- საკუთარი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრზე, ემოციებზე, რომელთა ასახვაც სურდა და რამდენად მიაღწია დასახულ მიზანს (რა იყო წარმატებული და რას გაითვალისწინებს სამომავლოდ).

ს.გ.VII.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ხელოვნების ნაწარმოებით აღძრულ პირველ შთაბეჭდილებაზე და განმარტავს, რამ გამოიწვია ეს ემოცია (სიუჟეტმა, კომპოზიციამ, ფერმა, ფიგურათა გამომსახველობამ და სხვ.);
- აფასებს ხელოვანის ნაწარმოებს (საკუთარ ცოდნაზე და შთაბეჭდილებაზე დაყრდნობით);
- მსჯელობს, რა გაიგო ამა თუ იმ კულტურის შესახებ მისი ხელოვნების ნიმუშების გაცნობით.

ს.გ.VII.9. მოსწავლე კრიტიკის დროს პატივისცემით ეკიდება სხვის ნამუშევარს და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კორექტულია სხვის შეცდომებზე საუბრისას;
- ტოლერანტულია განსხვავებული იდეების, სტილის, მიდგომების მიმართ;
- კამათის დროს სხვასაც აცდის საუბარს.

ს.გ.VII.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს სხვადასხვა ღონისძიების თემასა და მიზანს;
- აწყობს გამოფენას და მონაწილეობს მასში;
- მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში;
- ხვდება ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს;
- აწყობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციებში (მაგ., თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო აქცია).

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.VII.11. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სხვადასხვა ეპოქის და კულტურის ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს;
- არჩევს ერთმანეთისგან რეალისტურ და პირობით გამოსახულებებს;
- ამოიცნობს ამა თუ იმ კულტურის ხელოვნების ნიმუშების ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს;
- ასახელებს სხვადასხვა კულტურის ერთი დანიშნულების არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს.

ს.გ.VII.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია ისტორიულმა და კულტურულმა კონტექსტმა ნამუშევრის შინაარსზე;
- ამოიცნობს ხელოვნების ნიმუშს, როგორც ამა თუ იმ კულტურის კუთვნილებას ვიზუალური ელემენტების მიხედვით;
- ამოიცნობს ისტორიულ მოვლენას, რომელიც შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა.

ს.გ.VII.13. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მატერიალური კულტურის ძეგლებზე, რომლებიც უნახავს და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
- ადარებს ერთმანეთს საეკლესიო არქიტექტურის ცნობილ ძეგლებს;
- განიხილავს რამდენიმე ცნობილი ქართველი შემოქმედის (მხატვრის, მოქანდაკის, არქიტექტორის) ნამუშევრებს.

ს.გ.VII.14. მოსწავლე იკვლევს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს ხელოვნების იმ დარგებზე, რომლებიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია;
- საუბრობს მუზეუმების და გალერეების როლზე ქალაქისა და ქვეყნის ცხოვრებაში;
- მსჯელობს ხელოვნების ცალკეული ნიმუშის (ქანდაკება, პლაკატი, აფიშა, რეკლამა) დანიშნულებაზე საზოგადოებრივ ადგილებში.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი (წვრილი, სქელი, ტეხილი, წყვეტილი, ტალღოვანი), კონტური, ფერი (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი, ინტენსიური, ნახევარტონი, კონტრასტული) ფორმა (ორგანზომილებიანი (სიბრტყეზე), სიმეტრიული, ასიმეტრიული); შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, მოცულობა; მთლიანობა, პროპორციები; სივრცე (ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი); ხედვის წერტილი; სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა, განწყობილების გადმოცემა ხაზის, ფერის, სხვადასხვაგვარი მონასმის საშუალებით.

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

კლოდ მონეს ("თივის ზვინი, დილის თოვლის ეფექტი") ჟორჟ დე ლა ტური და სხვ. (კონტრასტი, შუქ-ჩრდილი); პოლ გოგენი, ენდი უორჰოლი, მორის ეშერი ("ცა და წყალი" შავ-თეთრი კონტრასტი) და სხვ.; რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი (მაგ., "ლამის გუშავი"), ტიციან ვეჩელიო (მაგ., "მადონა ალუბლებით"), პიტერ ბრეიგელ უფროსი (მაგ., "მონადირეები თოვლზე"), დიეგო ველასკესი, ედუარდ მანე (მაგ., "ბარი "ფოლი-ბერჟერში"), ვასილი კანდინსკი, პიტ მონდრიანი და სხვ. (კომპოზიციური განაწილება); ვინსენტ ვან გოგი, ჯეკსონ პოლოკი, ჯიბსონ ხუნდაძე, ედმონდ კალანდაძე, (მონასმი და ფაქტურა); პაოლო ვერონეზე (მაგ. "მარდოხეის ტრიუმფი"), პიტერ პაულ რუბენსი (მაგ.

“მინდვრიდან დაბრუნება”), კლოდ ლორენის და ჯონ კონსტებლის პეიზაჟები, ენდრიუ ვაიეტი (მაგ. “კრისტიანას სამყარო”) და სხვ. (ჰორიზონტის ხაზი, ხედვის წერტილი, კომპოზიციური განაწილება) რომელიმე ქართული ტაძრის კონქის მოხატულობა (მაგ. საფარა, გელათი), ანდრეი რუბლიოვის “სამება” (სიმეტრია); პერუჯინო, ლეონარდო და ვინჩი (თავშეყრის წერტილი); დელფოსის მეეტლე, მრონის ბადროს მტყორცნელი (სტატიკა); სკოპასის მენადა, ფუტურისტები - ჯაკომო ბალა, უმბერტო ბოჩონი, ჯინო სევერინი, კარლო კარა; მარსელ დიუშანი (მაგ. “კიბეზე ჩამომავალი ნიუ”), ნატალია გონჩაროვა (მაგ. “ველოსიპედისტი”) და სხვ. (რიტმი, დინამიკა); ნიკოლა პუსენი (მაგ. „გერმანიკის სიკვდილი“), ჟაკ-ლუი დავიდი (მაგ. “ჰორაციუსების ფიცი”), კარლ ბრიულოვი (მაგ. „პომპეის დაღუპვა“) და სხვ. (ისტორიული ჟანრი).

მასალა და იარაღი:

ტუში, ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ნახშირი, ქაღალდი, მუყაო, თიხა, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, ლითონი, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა; ექსპერიმენტი სხვადასხვა მასალით; საქსოვი, სამკერვალო, სამეთუნეო, სადურგლო იარაღი.

ტექნიკა, პროცედურა, პროცესი, ტექნოლოგიები:

ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ანაბეჭდი, ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები; ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა.

იდეების გამოხატვა:

საგნებსა და მათ ფუნქციებს შორის კავშირების, ასოციაციების გადმოცემა, დეტალების ამოცნობა და ასახვა; იდეების წყაროები: ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, ბუნების მოვლენები, ცხოვრებაში ნანახი სცენები, წარმოსახვა, მხატვრული ლიტერატურა, ფილმი, კონცერტი, წარმოდგენა, საინფორმაციო საშუალებები.

სავარაუდო თემები:

“საყვარელი ლიტერატურული/ისტორიული გმირი”, “მითოლოგიური მოტივები”, “ლეგენდების სამყარო”, „მხატვარი და მუზა“, „მშენებლობა“, თავისუფალი თემები და სხვ.

შრომითი საქმიანობა:

დეკორატიული და გამოყენებითი საგნების, თეატრალური რეკვიზიტის (კოსტიუმისა და დეკორაციის დეტალები); ინტერიერის ესკიზების, მისალოცი და მოსაწვევი ბარათების, ზეიმების და თეატრალური წარმოდგენების აფიშის შექმნა, წიგნების აკინძვა, ინვენტარის შეკეთება; მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

კომუნიკაცია:

ნამუშევრის წარდგენა ფართო აუდიტორიის წინაშე (მსჯელობა ჩანაფიქრზე, ემოციაზე, მიზნებზე, ამოცანებზე), შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, შეფასება და მისი დასაბუთება, სათანადო ტერმინების გამოყენება;

საუბარი კონკრეტული კულტურის მახასიათებლებზე, ნამუშევრიდან მიღებულ ინფორმაციაზე;

საკლასო და სასკოლო გამოფენა, სპექტაკლი, აქცია, შეხვედრები ხელოვნების მოღვაწეებთან, ექსკურსიები მუზეუმში, გალერეებში, ხელოვანის სახელოსნოში, ქალაქგარეთ.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების ცნობილი ნამუშევრების (ან მათი რეპროდუქციების) დათვალიერება, ამოცნობა და დაკავშირება ეპოქასთან და კულტურასთან; ისტორიულ-რელიგიურ-კულტურული კონტექსტის გავლენა მხატვრულ გადაწყვეტაზე; ინფორმაციის შეგროვება ხელოვნების ადგილობრივ მოღვაწეებზე და მათი შემოქმედების ანალიზი; კულტურასთან დაკავშირებული დაწესებულებები (მუზეუმი, გალერეა, საკონცერტო დარბაზი, კინოთეატრი);

გამოყენებითი ხელოვნება:

აზიური (მაგ., სპარსული, არაბული, ინდური, ჩინური, იაპონური) და ევროპული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ტანისამოსი, საიუველირო ნაწარმი, ყოფითი დანიშნულების საგნები, ინტერიერის ტრადიციული დიზაინი და სხვა).

VIII კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.VIII.2. მოსწავლე იჩენს ინიციატივას და ავითარებს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის და პროცედურის გამოყენების უნარს ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია ასახოს ნამუშევარში გარემოზე დაკვირვების შედეგები, განავითაროს გამომსახველობითი ხერხები.</p> <p>ს.გ.VIII.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და აფართოებს მათი ასახვის გზებს ნამუშევარში.</p> <p>ს.გ.VIII.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</p> <p>ს.გ.VIII.6. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა სტრატეგიას.</p>	<p>ს.გ.VIII.7. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზის დროს.</p> <p>ს.გ.VIII.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის კომუნიკაციის და კულტურის თვითგამოხატვის საშუალება.</p> <p>ს.გ.VIII.9. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p>ს.გ.VIII.10. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშები.</p> <p>ს.გ.VIII.11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში განიხილოს ხელოვნების ნიმუში.</p> <p>ს.გ.VIII.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.</p> <p>ს.გ.VIII.13. მოსწავლე იკვლევს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.</p>

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ფერის გრადაციას, სხვადასხვა ტონალობას ნამუშევარში მოცულობის, სივრცის გადმოსაცემად;
- ქმნის დეკორატიულ ნამუშევარს გრაფიკული ხერხებით (მაგ. კონტურით, ხაზით, შტრიხით);
- ქმნის სტილიზებულ მხატვრულ სახეებს;
- მიზანმიმართულად იყენებს კონტრასტულ და მონათესავე ფერებს;
- იყენებს ეფექტებს ასოციაციებისა და გრძნობების გადმოსაცემად.

ს.გ.VIII.2. მოსწავლე იჩენს ინიციატივას და ავითარებს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის და პროცედურის გამოყენების უნარს ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შერეული ტექნიკით ქმნის გრაფიკულ და ფერწერულ ნამუშევრებს;
- ამზადებს დეკორატიულ-გამოყენებით საგნებს თიხის, ხის, ლითონის და სხვა მასალის თვისებების გათვალისწინებით;
- ირჩევს თემატიკას, ტექნიკას, შესაბამის გამომსახველობით ხერხებს და მასალას განწყობილების გადმოსაცემად;
- კომპიუტერის გამოყენებით ქმნის გამოსახულებებს, ეფექტებს, სხვადასხვა საგნის დიზაინს, წიგნის მაკეტს.

ს.გ.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია ასახოს ნამუშევარში გარემოზე დაკვირვების შედეგები, განავითაროს გამომსახველობითი ხერხები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება და ასახავს ნამუშევარში, თუ როგორ იცვლება საგნის გამოსახულება დამკვირვებლისგან დაშორების მიხედვით;
- გამოსახავს სახასიათო დეტალებს პეიზაჟის, პორტრეტის და ნატურმორტის ხატვის დროს;
- იყენებს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს (შუქ-ჩრდილი, ფერი, კომპოზიციური განაწილება, სხვადასხვაგვარი მონასმი) ნამუშევარში ბუნების მოვლენების გადმოსაცემად;
- ხატავს ნატურიდან და მეხსიერებით.

ს.გ.VIII.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და აფართოებს მათი ასახვის გზებს ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს გრძნობებითა და ემოციებით გამოწვეულ ასოციაციებს, შთაბეჭდილებებს და იდეებს ნამუშევარში;
- იყენებს სხვა საგნებში განვლილ მასალას ნამუშევრების სიუჟეტისათვის;

- იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციასა და დეტალებს (კოსტიუმი, აქსესუარები) პორტრეტში ხასიათის გადმოსაცემად.
- იყენებს სხვადასხვა კულტურისა და პერიოდის შემოქმედთა ნამუშევრებს, როგორც წყაროს საკუთარი ნამუშევრის შესაქმნელად.

ს.გ.VIII.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად;
- ქმნის წარმოსახვითი სახელმწიფოს გერბს, დროშას, ასევე, სკოლის, კლასის ლოგოს;
- ქმნის გარემოს დიზაინის ესკიზებს (ინტერიერი, ექსტერიერი, სკოლის ეზო, პარკი და სხვ.);
- ადადგენს სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნებს;
- ხატავს და ამზადებს სასკოლო წარმოდგენის კოსტიუმებისა და დეკორაციის დეტალებს;
- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ქმნის ზეიმებისა და თეატრალური წარმოდგენების აფიშებს, მოსაწვევ და მისალოც ბარათებს;
- რგავს და უვლის მცენარეებს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ქმნის ლანდშაფტის (პარკი,სკვერი და სხვ.) დიზაინის მარტივ ესკიზს.

ს.გ.VIII.6. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა სტრატეგიას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიძიებს და აზუსტებს ინფორმაციას მომავალი პროექტის დასაგეგმად;
- ანაწილებს გუნდში სამუშაოს/ფუნქციებს/მოვალეობებს;
- ითვალისწინებს და იყენებს გუნდელის/ების შესაძლებლობებს (პოტენციალს);
- ეხმარება კლასელებს შემოქმედებითი და საორგანიზაციო სიძნელეების გადალახვაში;
- ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში მათგან ითხოვს დახმარებას.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ. VIII.7. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზის დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ნახატში გამოსახული ობიექტების კომპოზიციურ განაწილებაზე;
- აფასებს ნამუშევარს მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების მიხედვით;
- მსჯელობს ხელოვნების ნიმუშის ჟანრზე, თემაზე, მასალაზე, ტექნიკაზე;
- მსჯელობს ხელოვნების ნიმუშის კოლორიტზე;
- ამოიცნობს ხელოვნების ნიმუშის ეპოქალურ ნიშნებს;
- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშს, საუბრობს რომელი უფრო მოსწონს და ასაბუთებს, რატომ აძლევს მას უპირატესობას.

ს.გ.VIII.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნება არის კომუნიკაციის და კულტურის თვითგამოხატვის საშუალება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა კულტურის ხელოვნების ნიმუშებს: თემატიკის, სტილის, კომპოზიციური წყობის, კოლორიტის მიხედვით;
- ასახელებს კონკრეტული კულტურის რამდენიმე მახასიათებელს, რომლებიც ასახულია ნამუშევარში (სამოსი, არქიტექტურა, ჭურჭელი, ავეჯი და სხვ.);
- მოიძიებს მასალას რომელიმე მისთვის საინტერესო ქვეყნის კულტურის ძეგლებზე და წარუდგენს თანაკლასელებს მოხსენების და თვალსაჩინო მასალის სახით;
- მსჯელობს, რა გაიგო ამა თუ იმ ერის შესახებ მისი ხელოვნების ნიმუშების გაცნობით.

ს.გ.VIII.9. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს სხვადასხვა ღონისძიების თემას და მიზანს;
- აწყობს გამოფენას (თავად შეარჩევს ნამუშევრებს, აწყობს ექსპოზიციას);
- მონაწილეობს სპექტაკლის დაგეგმვაში;
- აწყობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციაში (მაგ. გარემოს დაცვა);
- აწყობს შეხვედრებს ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.VIII.10. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშებს და მსჯელობს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე;
- ადარებს ერთმანეთს რეალისტურ და პირობით გამოსახულებებს;
- მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა სახვითი ხელოვნება (თემატიკა, სტილი, ტექნოლოგია, პროცედურა) დროსთან ერთად;
- ადარებს ერთმანეთს ერთი კულტურის ცნობილ ძეგლებს.

ს.გ.VIII.11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში განიხილოს ხელოვნების ნიმუში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოსწავლე მიაკუთვნებს ხელოვნების ნიმუშს კონკრეტულ ეპოქასა თუ კულტურას და ასაბუთებს თავის მოსაზრებას;
- მოსწავლე ხელოვნების ნიმუშს განიხილავს ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური კუთხით;
- მოსწავლე მსჯელობს, თუ როგორ აისახა სხვადასხვა კონტექსტი (ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური) ხელოვნების ნიმუშის მხატვრულ მხარეზე.

ს.გ.VIII.12. მოსწავლე ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აგროვებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო ისტორიული პერიოდის ქართული ხელოვნების ძეგლებზე და აცნობს თანაკლასელებს მოხსენების და თვალსაჩინო მასალის სახით;
- მსჯელობს ქართული კედლის მხატვრობის რამდენიმე ცნობილ ნიმუშზე;
- აგროვებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო ხელოვნების დარგის (მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა, ხატწერა და სხვ.) რამდენიმე ნიმუშის შესახებ და აცნობს თანაკლასელებს მოხსენების და თვალსაჩინო მასალის სახით;
- ამოიცნობს რამდენიმე ქართველი მხატვრის ნამუშევარს და ადარებს ერთმანეთს შესრულების მანერის მიხედვით.

ს.გ.VIII.13. მოსწავლე იკვლევს, რა როლს ასრულებს ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიძიებს ინფორმაციას რამდენიმე ცნობილ კულტურულ ძეგლზე და მსჯელობს მათი გავლენის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე (მაგ. ეიფელის კოშკი, ნუი-იორკის სავაჭრო ცენტრი, თავისუფლების ქანდაკება და ა.შ.);
- მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნის ლანდშაფტური დიზაინის ცნობილ ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს;
- მოიძიებს მასალას რომელიმე ცნობილი შემოქმედის ცხოვრებასთან ან მის კონკრეტულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით და მსჯელობს, რა გავლენა იქონია საზოგადოების ცხოვრებაზე.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

სხვადასხვა ტიპის ხაზი, მონასმი; ფერი, ფორმა; შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, მოცულობა; მთლიანობა, პროპორციები; სივრცე; პერსპექტივა; უკუპერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა (განწყობილების, ასოციაციების, ემოციების გადმოცემა სხვადასხვაგვარი ეფექტების საშუალებით).

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

მიქელანჯელო მერიზი დე კარავაჯო (მაგ., “ვახშამი ემაუსში” და სხვ.), ანტონიო ალეგრი კორეჯო (მაგ., “შობა”), პიტერ ბრეიგელი უფროსი (მაგ., “გლეხური ქორწილი” და სხვ.), იან ვერმეერი (“სასიყვარულო ბარათი”, “მოსამსახურე რძის დოქით”, “ოფიცერი და მომღიმარი ქალიშვილი”, “ფერწერის ხელოვნება”, “გეოგრაფი”, “ასტრონომი”, “ქალიშვილი წერილით” და სხვ.), რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი (მაგ., “ღამის გუშაგი”, “უძლები ვაჟის დაბრუნება” და სხვ.), ფრანსისკო გოია (მაგ., “მეფე კარლოს IV-ის ოჯახი” და სხვ.), ჟორჟ სერა (მაგ., “ზანაობა ანიერში”, “კვირა შუადღე კუნძულ გრანდ-ჟატზე” და სხვ.) (კომპოზიციური განაწილება, შუქ-ჩრდილი, კოლორიტი); ვან ეიკი (“კანცლერ როლენის მადონა” (კომპოზიციური განაწილება); ოგიუსტ დომინიკ ენგრი (ცივი კოლორიტი); პაბლო პიკასოს “მოტირალი ქალი”, იერონიმუს ბოსხი (მაგ., “ილუზიონისტი”), პიტერ ბრეიგელი უფროსი (მაგ., “ბრძელები” და სხვ.), დიეგო ველასკესისა და პაბლო პიკასოს “მენინები”; ამადეო მოდილიანის, კის ვან დონგენის და მარი ლორანსენის პორტრეტები, (სტილიზებული მხატვრული სახეები); უილიამ ტერნერი (კოლორიტი, ტონალობა სივრცის გადმოსაცემად); ტიციან ვეჩელიო (მაგ., “პაპი პავლე III ალესანდრო და ოტავიო ფარნეზესთან ერთად”), პიტერ პაულ რუბენსი (მაგ., “ელენა ფოურმანი შვილებით” და

სხვ.) (კოლორიტი); ანრი ტულუზ ლოტრეკის, არისტიდ ბრუიანისა და ჟანა ავრილის აფიშები კაბარესთვის (კონტრასტი); ალბრეხტ დიურერი (მაგ., ჩანახატი “ჩემი აგნესა” და სხვ.), რაულ დიუფი (მაგ., ჩანახატი “ნავები”) (ხაზი); პიტ მონდრიანი “ზრიზანტემა” (გრაფიკა); ალფრედ სისლეი (მაგ., “ზატების მწყემსი”) (წრიული მონასმები); ვასილი კანდინსკი (დეკორატიული, რიტმული კომპოზიცია); ჯოვანი ანტონიო კანალეტოს პეიზაჟები, ალფრედ სისლეი (მაგ., “ზიდი არჟანტეიში”, “გზა ლუვესიენში”), ჯორჯო დე კირიკო (“მელანქოლია და ქუჩის საიდუმლო” (პერსპექტივა); მარკ შაგალი (მაგ., “მევიოლინე”, “დაბადების დღე” და სხვ.) (ასოციაციების გადმოცემა, სიმბოლოები); ილია რეპინი (მაგ., “ზაპოროჟიელები წერილს წერენ თურქეთის სულთანს”, “არ ელოდნენ” და სხვ.), ოგიუსტ რენუარის “მინდორში” და სხვა) (ემოციების გადმოცემა).

არქიტექტურა და ქანდაკება: რომანული, გუთური, რენესანსული (რეიმსის, შარტრის, კელნის კათედრალები; სანტა-მარია დელ ფიორეს ტაძარი ფლორენციაში; წმ. პეტრეს ტაძარი რომში. დონატელოს, მიქელანჯელო ბუონაროტისა და ჯან ლორენცო ბერნინის ქანდაკებები; გიბერტის კარიბჭე, როდენი (მაგ. “ჯოჯოხეთის კარიბჭე”, “კალეს მოქალაქეები” და სხვ.); კონსტანტინ ბრანკუზი; არისტიდ მაიოლი, ერნსტ ბარლახი, ალბერტო ჯაკომეტი, პაბლო პიკასო და სხვ.

ლანდშაფტის დიზაინის ისტორიიდან (ჩინური, ფრანგული, ინგლისური პარკები და სხვა).

მასალა და იარაღი:

ტუში, მელანი, ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ნახშირი, მუყაო, თიხა, ხე, ქსოვილი, ლითონი, მავთული, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა; ექსპერიმენტი სხვადასხვა მასალით.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ანაბეჭდი, მერწვა, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები.

იდეების გამოხატვა:

საგნებსა და მათ ფუნქციებს შორის კავშირების, ასოციაციების გადმოცემა, მრავალი დეტალის ამოცნობა და ასახვა; იდეების წყაროები: სხვადასხვა კულტურის, პერიოდის ხელოვნების ნიმუშები, ცნობილი მხატვრების ნამუშევრები (ალბრეხტ დიურერი, ეჟენ დელაკრუა, ონორე დომიე, ოგიუსტ როდენი, ტულუზ ლოტრეკი, პაბლო პიკასო და სხვ.);

ბუნების მოვლენები, ცხოვრებაში ნანახი სცენები, წარმოსახვა, ისტორიული ფაქტები, მხატვრული ლიტერატურა, ფილმი, წარმოდგენა (თეატრალური, საბალეტო, საოპერო დადგმა, კონცერტი და სხვ.), საინფორმაციო საშუალებები.

სავარაუდო თემები:

რელიგიური დღესასწაულები, “სიყვარული”, “გმირობა”, “საყვარელი მითოლოგიური/-ისტორიული/ლიტერატურული პერსონაჟი”, თავისუფალი თემები; თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით და სხვ.

შრომითი საქმიანობა:

დეკორატიული და გამოყენებითი საგნები, წიგნების აკინძვა, მაკეტის შექმნა, თეატრალური რეკვიზიტი (კოსტიუმისა და დეკორაციის დეტალები); ინტერიერის ესკიზები, ინვენტარის შეკეთება, სკოლის ეზოს დეკორატიული გაფორმება, მცენარეების დარგვა-მოვლა.

მუშაობის სტრატეგია:

მუშაობა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან, გუნდურად.

კომუნიკაცია:

ნამუშევრის წარდგენა ფართო აუდიტორიის წინაშე, (მსჯელობა ჩანაფიქრზე, ემოციაზე, მიზნებზე, ამოცანებზე), შთაბეჭდილებების, დაკვირვების, გამოცდილების გაზიარება, შეფასება და მისი დასაბუთება, სათანადო ტერმინების გამოყენება;

საუბარი ნამუშევრის შექმნის მოტივებზე, ჯგუფის მიერ დასახულ მიზნებზე; ნამუშევრის შეფასება მხატვრული ხერხების მიხედვით; საუბარი სხვადასხვა კულტურის დამახასიათებელ ნიშნებზე, ნამუშევრიდან მიღებულ ინფორმაციაზე;

გამოფენა, სპექტაკლი, აქცია, შეხვედრები ხელოვნების მოღვაწეებთან, ექსპურსიები.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სახვითი ხელოვნების ცნობილი ნამუშევრების დათვალიერება, ამოცნობა და დაკავშირება ეპოქასთან და კულტურასთან; პირობითი და რეალისტური ნამუშევრების შედარება; ხელოვნების ნიმუშის კვლევა რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტში;

ინფორმაცია ხელოვნების ქართველ მოღვაწეებზე და მათ შემოქმედებაზე; ქართული ხელოვნების დარგები: კედლის მხატვრობა, არქიტექტურა, მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა;

ინფორმაცია ქართული და მსოფლიო არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენების მნიშვნელობაზე.

IX კლასი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება	კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
<p>ს.გ. IX.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს ხელოვნების ელემენტები, პრინციპები, სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.</p> <p>ს.გ. IX.2. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში.</p> <p>ს.გ. IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.</p>	<p>ს.გ. IX.4. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზის დროს.</p>	<p>ს.გ. IX.5. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნამუშევრები.</p> <p>ს.გ. IX.6. მოსწავლე იკვლევს და განმარტავს კონტექსტის გავლენას კონკრეტულ ნაწარმოებსა და ხელოვანის შემოქმედებაზე.</p> <p>ს.გ. IX.7. მოსწავლე იკვლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს და შეუძლია იმსჯელოს მათ შესახებ.</p> <p>ს.გ. IX.8. მოსწავლე იკვლევს ხელოვნების როლს საზოგადოების ცხოვრებაში.</p>

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება

ს.გ. IX.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად აირჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს ხელოვნების ელემენტები, პრინციპები, სხვადასხვა მასალა, ტექნიკა და პროცედურა ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კოლორიტის საშუალებით გადმოსცემს განწყობილებას;

- იყენებს კონტრასტულ ფერებს ფერის ჟღერადობის გასაძლიერებლად და ემოციების გადმოსაცემად;
- იყენებს მონასმებს, კონტრასტებს, აქცენტებს, დეტალებს, ფაქტურას, შერეულ მასალას ნამუშევარში განწყობილების და იდეების გადმოსაცემად;
- ფერწერული ნამუშევრის შექმნისას იყენებს ტრადიციულ და არატრადიციულ იარაღებს და ტექნიკას;
- ატარებს ექსპერიმენტს შერჩეულ სფეროში (მხატვრობა, დიზაინი, ფოტოგრაფია და ა. შ.) მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე (ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა).

ს.გ.IX.2. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს სხვადასხვა კულტურის და პერიოდის შემოქმედთა ნაწარმოებებს საკუთარი ჩანაფიქრის გასახორციელებლად;
- ირჩევს თემას საკუთარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე და ასახავს ნამუშევარში;
- შემოქმედებითად ასახავს გარემოზე დაკვირვების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს, იდეებსა და გრძნობებს.

ს.გ.IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გეგმავს სამუშაოს შესრულების ოპტიმალურ დროს, შემსრულებელთა რაოდენობას და, ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სამუშაოს თანმიმდევრობას/ ფუნქციებს/მოვალეობებს;
- გეგმავს, რა მატერიალური რესურსები დასჭირდება შესასრულებელ სამუშაოს და როგორ მოიძიებს ამ რესურსებს;
- ქმნის ნაკეთობების (სამოსი, ტრანსპორტი, ინვენტარი და სხვ.) და გარემოს (ინტერიერი, ექსტერიერი, ეზო, პარკი და სხვ.) დიზაინის ესკიზებს კონკრეტულ სტილში (მაგ. ეთნო, კლასიკა, რეტრო, მოდერნი, მინიმალიზმი, თავისუფალი და სხვ.);
- შეაკეთებს დაზიანებულ სასკოლო ინვენტარს;
- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ქმნის მოსაწვევი და მისალოცი ბარათების ესკიზებს, ასევე ზეიმების და თეატრალური წარმოდგენების აფიშებს;
- ზეიმებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის ხატავს და ასრულებს მასალაში დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზებს;
- კონსტრუქტორის სქემების და დეტალების გამოყენებით აგებს მარტივ ელექტროსათამაშოს.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.IX.4. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზის დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს ნამუშევარს;

- მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ეფექტს აღწევს მხატვარი ფერის საშუალებით (მაგ. იწვევს გარკვეულ ემოციას, ქმნის განწყობილებას, გამოკვეთს მთავარს, აძლიერებს ჟღერადობას);
- მსჯელობს, რა ეფექტს აღწევს მხატვარი შუქ-ჩრდილის გამოყენებით;
- გამოთქვამს მოსაზრებას ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულების შესახებ და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი აზრი.

მიმართულება: ხელოვნების ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

ს.გ.IX.5. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნამუშევრები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ხელოვნებას რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით (სტილი, თემა, ჟანრი);
- ახასიათებს XX საუკუნის ხელოვნების რამდენიმე მიმდინარეობის ცნობილ ნიმუშს;
- ამოიცნობს ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილ ნიმუშებს და ადარებს იმავე პერიოდის სხვა ქვეყნის არქიტექტურულ ძეგლებს;
- კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე, რომელიც არსებობს სხვადასხვა პერიოდის ხელოვნებაში (ძველი, ახალი და თანამედროვე);
- ამოიცნობს კონკრეტული მხატვრის ნამუშევარს და მსჯელობს მისი შემოქმედების სტილსა და მანერაზე.

ს.გ.IX.6. მოსწავლე იკვლევს და განმარტავს კონტექსტის გავლენას კონკრეტულ ნაწარმოებზე და ხელოვანის შემოქმედებაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვა ვიზუალური ელემენტების მიხედვით ამოიცნობს ეპოქას, რომელიც ასახულია ნამუშევარში (ტანსაცმელი, ნივთები, ტრანსპორტი და სხვ.);
- აგროვებს ინფორმაციას იმ ისტორიულ პერიოდსა და მოვლენებზე, რომლებმაც გავლენა იქონია კონკრეტული ხელოვანის შემოქმედებაზე და აცნობს თანაკლასელებს მოხსენების და თვალსაჩინო მასალის სახით;
- მსჯელობს, თუ რა გავლენა იქონია ამა თუ იმ ისტორიულმა მოვლენამ რომელიმე კონკრეტულ ნამუშევარზე;
- მსჯელობს, თუ როგორ აისახება ეპოქის იდეური და სტილისტური ნიშნები ხელოვანის შემოქმედებაზე.

ს.გ.IX.7. მოსწავლე იკვლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს და შეუძლია იმსჯელოს მათ შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ხელოვნების დარგებს, რომლებიც ნიშანდობლივია ქართული ხალხური შემოქმედებისათვის (ხეზე კვეთა, ჭედურობა, ქარგვა, ქსოვა, თექა.);
- მსჯელობს, რა ხერხებით არის შენარჩუნებული და დაცული ქართულ ხელოვნებაში ხალხური შემოქმედების ტრადიციები;
- ადარებს ქართული ხალხური შემოქმედების რომელიმე დარგის ნიმუშს სხვა ქვეყნის იმავე დარგის ნიმუშთან;

- იკვლევს, რა მსგავსება და განსხვავებაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს შორის (არქიტექტურა, კედლის მხატვრობა და სხვ.).

ს.გ.IX.8. მოსწავლე იკვლევს ხელოვნების როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მისთვის ნაცნობ ხელოვნების მოღვაწეებზე და მათ წვლილზე საზოგადოების ცხოვრებაში;
- აგროვებს ინფორმაციას კულტურის რომელიმე წარმომადგენლის მოღვაწეობაზე და მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით ადგენს სახლ-მუზეუმის პროექტს;
- იკვლევს შემოქმედთა წარმატების/წარუმატებლობის მიზეზებს;
- იკვლევს, თუ რა გავლენა იქონია თანამედროვე საკომუნიკაციო და ტექნოლოგიურმა საშუალებებმა ხელოვნების როლზე საზოგადოების ცხოვრებაში.

პროგრამის შინაარსი

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი, ფერი, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; მთლიანობა, პროპორციები; სივრცე; ხედვის წერტილი; სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი (განწყობილების, ასოციაციების, ემოციების გადმოცემა სხვადასხვაგვარი ეფექტების საშუალებით).

რეკომენდებული ვიზუალური მასალა:

იერონიმუს ბოსხი, ანრი რუსო, მიხაილ ვრუბელი, ოდილონ რედონი, მარკ შაგალი, ედვარდ მუნკი, ჯეიმს ენსორი, სალვადორ დალი, რენე მაგრიტი, ჯორჯო დე კირიკო, მაქს ერნსტი, ჰანს არპი (წარმოსახვითი სამყარო); რაულ დიუფი (მაგ., “აფიშები ტრუვილიში”, “რეგატა ჰენლიში”, “ორკესტრი”, “დოლი ესკოტში”, “კაზინო ნიცაში”) ლადო გუდიაშვილი (სტილიზებული ნამუშევარი).

ქართული თეატრის მხატვრობა - ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, კირილე ზდანევიჩი, სოლიკო ვირსალაძე და სხვ.

ჟან ტინგლი, ნიკი დე სენტ ფალი, თამარ კვესიტაძე (თოჯინები, მექანიკური სკულპტურები), ენტონი გორმლი და სხვ.

მასალა და იარაღი:

ტუში, ფანქარი, პასტელი, გუაში, აკვარელი, ტემპერა, ნახშირი, ფერადი ქაღალდი, მუყაო, თიხა, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, ლითონის, პლასტმასის კოლოფები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა; ექსპერიმენტი სხვადასხვა მასალით; სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი.

ტექნიკა და პროცედურა:

ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, ანაბეჭდი, ძერწვა, კოლაჟი, ფარდაგი, თექა, გობელენი, ნაქარგობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები; ექსპერიმენტი შერჩეულ სფეროში (მხატვრობა, დიზაინი, ფოტოგრაფია).

იდებების გამოხატვა:

იდებების წყაროები: ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, მხატვრული ლიტერატურა, შთაბეჭდილებები, ასოციაციები, ფანტაზია.

სავარაუდო თემები:

“ქართული ორნამენტის მოტივები”, “ისტორიული და ლეგენდარული გმირები”, “სამშობლო”, “გმირობა”, “ჯგუფური პორტრეტი”, თავისუფალი თემები, თემები სხვადასხვა საგანში განვლილი მასალიდან.

შრომითი საქმიანობა:

ინვენტარის შეკეთება, საკლასო ოთახის გარემონტება-მოწყობა, დეკორატიული და გამოყენებითი საგნები, მაკეტები თეატრალური სპექტაკლებისთვის, რეკვიზიტი (კოსტიუმისა და დეკორაციის დეტალები); ინტერიერის, ტანისამოსის, ავეჯის, სხვადასხვა საგნის ესკიზები, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, ზეიმების და თეატრალური წარმოდგენების აფიშა; მარტივი ელექტროსათამაშო.

კომუნიკაცია:

ნამუშევრის წარდგენა, შეფასების კრიტერიუმების შერჩევა, ანალიზი; საუბარი ნამუშევრიდან მიღებულ შთაბეჭდილებასა და ინფორმაციაზე.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

სხვადასხვა კულტურის/ისტორიული პერიოდის ხელოვნების ნიმუშების შედარება (სტილი, თემა, ჟანრი და სხვ.) მიხედვით; მხატვრის ინდივიდუალური მანერა; ისტორიული პერიოდის, მოვლენების გავლენა ხელოვნების ნიმუშზე; საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნება, ხალხური შემოქმედება; ხელოვნების მოღვაწეების, კულტურასთან დაკავშირებული დაწესებულებების როლის კვლევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შუასაუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა (*მაგ., ანჩის ხატი, ხახულის კარედი ხატი, ლაკლავისძეთა ღვთისმშობლის ხატი*), *გუჯი ამამუკელის საოქრომჭედლო ნაკეთობები*;

არქიტექტურული დეკორი (*ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, სამთავისი, ნიკორწმინდა და სხვა*);

გამოყენებითი ხელოვნება: *არტ-დეკოსა და არტ-ნუვოს სტილის ნაკეთობები; ესოვილები, გობელენები (მაგ., რაულ დიუფი); მ. ს. კუზნეცოვის ჭურჭელი; ფაბერჟეს საიუველირო ნაკეთობები; რენე ლალიკის მინის ნაკეთობები.*